


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბატონი ბეჭე-
უძი სიფყავა, ცუდიღობით და ჭაბუბით ბუბ-
თის გაფანა ყველა უჯადისდაზგ უსაბაგოლსია.

ხუთშაბათი, 25 მაისი. 2017 წ. №105 (8242), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

ქარბაღ ის იხინის, ჰინს სანქსიებს დასხინის? 3

არაღიარებულთა და ნანილობრივ აღიარებულთა „დსთ“

ერთად გადაპარჩინოთ ქართული ქობლები 9

საქართველოსა და თურქეთის ტარიტორიაზე არსებული ქობლების რეაბილიტაციისთვის ერთობლივი საფუძო ჯგუფი შეიქმნება

უნდა მივეჩვიოთ, რომ სარუქები პლარ იქნება და პლარს უნდა იყოს 4

ფერმერები აბროდაზღვევასა და სტიქიაზე

ჰინ თაჰისუფლდება ჯარიმეზისბან... ბარკვეული 5 პირობებით?

საქართველოს ეკონომიკის განვითარების განეკალური 6 სტრატეგია

შესხველა რუმის პაათანს

დონალდ ტრამპი ეპიკანს სტუმრობს. თეთრი სახლის ლიდერი რომის პაპს ფრანცისკეს შეხვდა. შეერთებული შტატების პრეზიდენტს თანამერიკის პირველი ლედი ამხლდა. შეხვედრა 30 წუთს გაგრძელდა. ამის შემდეგ ტრამპი იტალიის პრეზიდენტ სერჯიო მატარელასთან შესახვედრად გაემართა. იტალიიდან თეთრი სახლის ლიდერი ბრიუსელში გაემგზავრება, სადაც ევროკავშირისა და ნატოს წარმომადგენლებს შეხვედება.

ტრამპმა აღმოკატი იყვანა

ამის შესახებ ტელეკომპანია ეი-ბი-სი იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, თეთრი სახლის ლიდერის ინტერესებს მარკ კასოვიცი დაიცავს. საქმე ეხება რუსეთ-

თან ტრამპის ადმინისტრაციის წევრების კავშირზე, რასაც იუსტიციის სამინისტრო იძიებს. სპეციალურ პროკურორად უწყებამ გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი დირექტორი რობერტ მიულერი დანიშნა.

კანადის პრემიერის გეულას ემუქარებოდა

კანადის პრემიერ-მინისტრის გეულას მისამართით გაგვრცელებული მუქარის გამო პოლიციამ შუა ხნის ქალი დააკავა. სამართალდამცველების თქმით, კანადის მოქალაქე ჯასტინ ტრიუდოს გეულას მისამართით მუქარის შემცველ გზავნილებს ინტერნეტით ავრცელებდა. რა შინაარსის გზავნილებზეა საუბარი, ჯერჯერობით უცნობია. დაკავებულს ბრალი უკვე წაუყენეს. შინაგან საქმეთა სამი-

ინს სტოლტენბერგი: თბილისში დაგეგმილი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა მიუთითებს, თუ რა დონის პოლიტიკური დიალოგი გვაქვს საქართველოსთან

თბილისში დაგეგმილი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა მიუთითებს ჩვენს თანამშრომლობაზე, კონტაქტებზე, იმაზე, თუ რა დონის პოლიტიკური დიალოგი გვაქვს საქართველოსთან, - ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ინს სტოლტენბერგმა „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მისი თქმით, ის ელოდება, რომ ბრიუსელში დაგეგმილ შეხვედრაზე ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერები ალიანსის პარტნიორების მნიშვნელობაზე ისაუბრებენ, მათ შორის საქართველოზე. სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ საქართველო ნატოსთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია. გენერალურმა მდივანმა სახი გაუსვა საქართველოსთან სხვადასხვა დონეზე თანამშრომლობის ფორმატებს.

„მე ველოდები, რომ მოკავშირეები ჩვენი პარტნიორების მნიშვნელობაზე ისაუბრებენ და მათ შორის საქართველოზე. საქართველო ნატოს მნიშვნელოვანი პარტნიორია. ჩვენ ჩამოვყალიბებთ ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა. გვაქვს არსებითი პაკეტი, წვრთნისა და შეფასების ცენტრი, წვრთნები, ტრენინგები. მე თავად ვიმყოფებოდი, ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან ერთად. საქართველოში და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ეწვევა საქართველოს რამდენიმე დღეში. გენმდივნის მოადგილე იქნება პარლამენტარებთან ერთად თბილისში. ეს მიუთითებს ჩვენს თანამშრომლობაზე, კონტაქტებზე და თუ რა დონის პოლიტიკური დიალოგი გვაქვს საქართველოსთან და ასევე, რა პრაქტიკულ მხარდაჭერას ვუცხადებთ. საქართველო მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია მისიებსა და ოპერაციებში. ჩვენ ამ წვლილის გამო საქართველოს მაღლიერი ვართ“, - აღნიშნა გენერალურმა მდივანმა პრესკონფერენციაზე.

მისივე განცხადებით, ღია კარის პოლიტიკის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ძალაშია.

„რა გადაწყვეტილებაც მივიღეთ ღია კარის პოლიტიკის შესახებ, ძალაშია, მათ შორის ის გადაწყვეტილებაც, რაც საქართველოს შესახებ მივიღეთ ვარშავაში. ბრიუსელის შეხვედრაც ადასტურებს, რომ ნატო-ს კარი ღიაა. ჩვენ ველოდებით მონტენეგროს. 28 წევრი ქვეყნის პარლამენტმა მონტენეგროს ორგანიზაციაში მიღების საკითხის რატიფიკაცია მოახდინა. ამით დავადასტურებთ, რომ ნატოს კარი ღიაა“, - განაცხადა სტოლტენბერგმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ნატო აგრძელებს საქართველოსთან მუშაობას, რათა რეფორმების გატარებაში დაეხმაროს.

ავსტრალიაში აბორიგენტთა საზოგადოება

ავსტრალიაში აბორიგენტთა ისტორიული სამიტი იწყება. დღეს ულურუს წმინდა კლდეზე ადგილობრივი ტომების 200-მდე ბელადი შეიკრიბება. ისინი ახალ ინიციატივაზე იმსჯელებენ, რომელიც აბორიგენტთა უფლებების გაზრდის მოთხოვნით კანონმდებლობაში ფუნდამენტური ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. სამიტი სიმბოლურ თარიღს ემთხვევა. 50 წლის წინათ, 1967 წლის 27 მაისს, ავსტრალიაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებით აბორიგენტთა უფლებები ფორმალურად პირველად აღიარეს.

ქსნა კალაძე: სასოფლო-სამეურნეო მიწები უსხოვლებზე არ უნდა გასხვისდეს



რწმუნე პოზიციას, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწები უსხოვლებზე არ უნდა გასხვისდეს, - ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ უსხოვლებზე მინის გასხვისების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა. მისი თქმით, პარლამენტში ამაზე მსჯელობენ და ის დარმუნებულია, რომ განაცხადდება ამასთან დაკავშირებით მიღებული იქნება.

„მე მოგახსენებთ მთავრობის მეთაურის და ასევე ჩემს პოზიციას სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით. ჩვენი პოზიციას, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწები უსხოვლებზე არ უნდა გასხვისდეს. ეს არის როგორც პრემიერ-მინისტრის, ასევე ჩემი და მთავრობის წევრების პოზიციას. შესაბამისად, პარლამენტში ამაზე მსჯელობენ და განაცხადდება ამასთან დაკავშირებით, დარმუნებული ვარ, იქნება მიღებული“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მერის კანდიდატურაზე მსჯელობა მაისის ბოლოს დაიწყება

„თბილისის მერის კანდიდატურაზე მსჯელობა მაისის ბოლოს დაიწყება“, - განაცხადა ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ. ვიცე-პრემიერის თქმით, მერის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის დაყენებაზე საუბარი ნაადრევია.

დევიდ მაკალისტერი: ურადიკალური მიმართულებით ვინაობის კოორდინირებული მოქმედება უნდა იქნას



მე ვთხოვე ქართული მხარის წარმომადგენლებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს, რამეთუ ისინი არიან ექსპერტები ამ სფეროში, - ამის შესახებ ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე დევიდ მაკალისტერმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „გვესმის, რომ არც ერთი სისტემა არ არის უზადო. ჩვენ მივყავართ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ინტენსიურ კონსულტაციებს იღებენ ვენეციის კომისიისგან. ჩვენ მხარს ვუჭერთ, რომ წარმომართოს ფართო კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან და ოპოზიციასთან, რათა ამ ძირეულ ცვლილებებს დიდი მხარდაჭერა მქონდეს ქვეყანაში. მე ვთხოვე საქართველოს წარმომადგენლებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს, რამეთუ ისინი არიან ექსპერტები ამ სფეროში“, - განაცხადა დევიდ მაკალისტერმა.

სახელმწიფო დეპარტამენტი რეანთის 34 მილიონ 100 ათასი დოლარის გამოყოფას გეგმავს



სახელმწიფო დეპარტამენტი 2018 წელს საქართველოს დასახმარებლად 34 მილიონ 100 ათასი აშშ დოლარის გამოყოფას გეგმავს, - ამის შესახებ აშშ-ის საგარეო უწყების მიერ გამოქვეყნებულ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტშია ნათქვამი. საქართველოსთვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2016 წელს დამტკიცებული და დღემდე მოქმედი დახმარების მოცულობა 80 მილიონზე მეტია. განმარტებით ბარათში მოცემულია დახმარების პროგრამები, რომლებშიც საქართველო მოხვდა. კერძოდ, „ევროპის და ევრაზიის“ დახმარების პროგრამაში სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოსთვის 28 მილიონი დოლარის გამოყოფას ითხოვს. 3 მილიონი დოლარი გათვალისწინებულია საქართველოში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულთან ბრძოლისთვის. კიდევ 0.9 მილიონი სტრატეგიული ვაჭრობის კონტროლის კანონმდებლობის იმპლემენტაციაზეა გათვლილი. 2.2 მილიონი დოლარი განსაზღვრულია ქართველი ჯარისკაცების წვრთნის პროგრამებისთვის. საქართველო ასევე მიიღებს დახმარებას, რომელიც რეგიონში იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების დასახმარებლად გათვალისწინებულია.

„საზოგადოებრივი მუხწყების“ ინფორმაციით, სახელმწიფო დეპარტამენტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში სამხედრო დახმარებისთვის თანხა გათვლილი არ არის, როდესაც 2016 წელს დამტკიცებული და დღემდე მოქმედი ბიუჯეტის ამ პუნქტში გათვალისწინებული იყო 30 მილიონი დოლარი.

ამასთან, ზოგადად აშშ-ის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო ხარჯი 43,6 ტრილიონით უნდა შემცირდეს. აღ-

ნიშნული სექცესტრი აშშ-ის ისტორიაში უმსხვილესია. 32-პროცენტის შემცირება იგეგმება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუჯეტშიც.

საგარეო უწყება საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს...

საგარეო უწყება სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს კონგოში მოგზაურობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებს, იქ მყოფებს კი მიმართავს, დაუყოვნებლივ დატოვონ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, - ამის შესახებ საგარეო მინისტრის მოადგილე ზვიად გონაძემ განაცხადა. მინისტრის მოადგილე დღეს კონგოში დატყვევებული ქართველი მფრინავის ოსებს ოსურაულის ძმას გიორგი ოსურაულს შეხვდა და მათ პრესისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

ზვიად გონაძემ გიორგი ოსურაულს მიანოდა ბოლო ინფორმაცია კონგოში დატყვევებული ქართველი მფრინავის შესახებ. მისივე თქმით, ადგილზე გავრცელებული ინფორმაცია, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის მომხდარ შეტაკებას მსხვერპლი მოჰყვა და შესაძლოა, ოსებ ოსურაულიც მათ რიცხვში იყოს, თუმცა არც ერთი მხარისგან - კონგო, გაერო, წითელი ჯვარი - თბილისს ამ ინფორმაციის დადასტურება არ მიუღია.

კონგოსთვის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-საპარტო ძალების ორი შეეუღლმფრენი 27 იანვარს მემბოხეებმა ჩამოაგდეს. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთ შეეუღლმფრენს მართავდა საქართველოს მოქალაქე სოსო ოსურაული, რომელიც მემბოხეებმა ტყვედ აიყვანეს. საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე კი დაიჭრა. მან მკურნალობის კურსი ქალაქ გომბაში გაიარა.

სოსო ოსურაული წლების განმავლობაში ქართულ ჯარში მსახურობდა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, იგი შეიარაღებული ძალებიდან 2015 წელს, საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა.



პავლე კუბლაშვილი მზად არის, გამოიყვანოს რეანთი მისთვის

პავლე კუბლაშვილი მზად არის, ლაშა თორდიასთან დაკავშირებულ ვიდეომასალაზე გამოიყვანოს ჩვენება მისთვის. კუბლაშვილის შეფასებით, თორდიასთან დაკავშირებით სოციალური ქსელით ვიდეომასალის გავრცელება ოთარ ფარცხალაძის „გათეთრების“ მცდელობაა.

„ფარცხალაძის გათეთრება არ გამოვა. ეს ადამიანი დასვრის ყველას, რასაც შეეხება. ამიტომ თუ ვინმეს გეგმაში აქვს თორდია წარმოაჩინოს ცუდი ადამიანად და ფარცხალაძე ფრთიან ანგელოზად, ესეთი რამ არ ხდება. შევასწენებ მარტივ ნათქვამსაც, ყოვანი ქვიშითაც რომ გარეცხონ, არ გათეთრდება“, - აცხადებს კუბლაშვილი. მისივე განცხადებით, ამ შემთხვევის დეტალებზე, მათ შორის ჰქონდა თუ არა თორდიას იარაღი, ამაზე საუბარი საჯარო განცხადებების ფორმატში ამ

ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია. კუბლაშვილის თქმით, ის იყო თორდიასთან ერთად ბარში და შემთხვევით თვის წინ მოხდა.

საგარეო დეპარტამენტის ინციდენტის განმარტებით, რა მოხდა 2016 წლის 24 დეკემბერს, კლუბის ხელმძღვანელობა არ საუბრობს. მომხდართან დაკავშირებით მცირე კომენტარს აკეთებს კლუბის მენეჯერი და ამბობს, რომ 5 თვის წინ მომხდარ ინციდენტზე გამოიყვანა დაიწყო და დიკითხა ყველა პირი, ვინც ადგილზე იმყოფებოდა. „პამ კლუბში“ არ პასუხობენ შეკითხვას ჰქონდა თუ არა იარაღი ლაშა თორდიას და მოხდა თუ არა დაპირისპირების დროს გასროლა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია დარმუნებულია, რომ ვიდეო, რო-

მელშიც, საგარეო დეპარტამენტის აუდიტორი ლაშა თორდია ფიგურირებს, ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის დავალებით სუს-მა, შსს-მა და პროკურატურამ გაავრცელეს.

„ბატონი ფარცხალაძე არათუ დაახლოებული პირია, არამედ ძალიან უწყებების არაფორმალური მმართველია. ის არათუ გაგლენით სარგებლობს, არამედ მართავს სამართალდამცავ უწყებებს. ის ჩანანერი, რომელიც გაავრცელა სუს-მა პროკურატურასთან და შსს-სთან ერთად, არის ფარცხალაძის დავალებით შესრულებული. ჩვენ ქვეყანას არც შს მინისტრი არ ჰყავს და არც პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ერთი განცხადებაც არ გაუკეთებია. ამ ვიდეოს გავრცელება ადასტურებს, თუ რამდენად კრიმინალური კლანი მართავს ქვეყანას“, - განაცხადა მელიამ.

თბილისის საგარეო ბაზარზე საყოველთაო რეგისტრაცია 7 ივლისს დაიწყება



თბილისის საგარეო ბაზარზე 2017-2018 სააღმზრდელო წლისათვის აღსაზრდელო რეგისტრაცია ორ ეტაპად განხორციელდება - რეგისტრაციის პროცედურებზე ბაზა-ბალების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ თორდინავამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა.

მისი განცხადებით, რეგისტრაცია ჩატარდება ელექტრონულად, სააგენტოს ვებგვერდის kids.org.ge-ს საშუალებით. პირველი ეტაპი დაიწყება 2017 წლის 7 ივლისს, 13:00 საათზე. პირველ ეტაპზე რეგისტრაციას გაივლიან სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები, ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, იმ ოჯახების ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით, ასევე 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვები.

რეგისტრაციის მეორე ეტაპი დაიწყება 14 ივლისს 13:00 საათზე და რეგისტრაციას გაივლიან

იმ ოჯახების ბავშვები, რომლებიც არ შედიან პირველ ეტაპზე დასარეგისტრირებულთა კატეგორიაში.

„ჯამში, 2017-2018 სააღმზრდელო წლისათვის თბილისის ბაზარზე შესაძლებელი იქნება დამატებით 13 000-მდე აღსაზრდელო რეგისტრაცია, რაც წინა წლებთან შედარებით უპრეცედენტო რაოდენობაა და ის ფაქტი, რომ მოთხოვნა საჯარო ბაზარზე დღითი დღე იზრდება, ადასტურებს ჩვენ მიერ ბოლო სამი წლის მანძილზე ინფრასტრუქტურული თუ მეთოდოლოგიური მიმართულებით განხორციელებული არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმის ეფექტურობას“, - განაცხადა თემურ თორდინავამ.

სააგენტოს ხელმძღვანელმა ამ რეფორმების შესახებ დეტალურად ილაპარაკა. მისი

თქმით, 2016 წელს თბილისში აშენდა და გაიხსნა 7 ახალი საბავშვო ბაღი, ამჟამად, მიმდინარეობს 10 ბაღის მშენებლობა, რომელთაგან 5 უკვე სექტემბერში გაიხსნება. ხოლო წლის ბოლომდე კიდევ 8 ახალი ბაღის მშენებლობას ჩაეყრება საფუძველი.


„მნიშვნელოვანია ისიც, რომ თბილისის საჯარო ბაზარზე დადგინდა კვებით მომსახურებისა და სანიტარიული ნორმების ახალი სტანდარტები, სრულად განვსაზღვრეთ და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ სამზარეულო ბლოკები, მოვანესრიგეთ გარე და შიდა ინფრასტრუქტურა, დაენერგეთ სპეციალური გზების, ფსიქოლოგებისა და ლოგოპედების ინსტიტუტი და ამჟამად, მიმდინარეობს მათი გადამზადება. აღსანიშნავია ისიც,

რომ ჩვენი ასეთი სისტემური მიდგომით, ნდობა ბაღებისადმი არის მაქსიმალურად გაზრდილი და დღეს ჩვენ ბაღებში 770 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელი გვყავს“, - განაცხადა თემურ თორდინავამ.

მისივე თქმით, ხუთი ახალი ბაღი თბილისში გაიხსნება შემდეგ მისამართებზე: ნაძალადევის რაიონი, ურეკის ქუჩა №4, ჩუღურეთის რაიონი - ჩიტაიას ქუჩა №6, საბურთალოს რაიონი - ვაშლიჯვრის დასახლება, სამგორის რაიონი - სოფელი ნინუბანი, საბურთალოს რაიონი - გამსახურდიას (პეკინის) გამზარი №23, ხოლო მშენებლობა მიმდინარეობს სოფელი დილოში, სოფელი გლდანში, სოფელი ფონიჭალაში, წყნეთში და სამგორის რაიონში, ქიჩინაძის ქუჩა №1-ში.

ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელი იმორე პლოტინსკი ახალი საქართველო ორგანიზაციის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რომელშიც ნაილოვსკი პირადად (ახსენებით, ე.წ. სანქსიონის) და არაღიარებული (მთიანი ყაბაბაძე, დენსტრისიკით, ღონისი და ლუგანსკი) „რესპუბლიკებს“ მოეწოდება.

„არ აპირებენ ჩვენს აღიარებას? - მეჩვენა, ამით ჩვენი სიმოსლე დასრულდა?! შენაკლოა, უპირინია, ვიფიქროთ სხვა საკითხებზე, საკუთარი დსთ-ის შექმნაზე ნაილოვსკი აღიარებული და არაღიარებული სახელმწიფოებოსათვის. მოდით, გავაერთიანოთ ჩვენი პოლიტიკა. თავად ჩვენს გარდა, ამ ახალადა აღიარებულ და მთავარადა არაღიარებულს. მოდით, თავად დავეხმაროთ ჩვენს თავს.“



არაღიარებულთა და ნაილოვსკის აღიარებულთა „დსთ“

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების რეაქცია პლოტინსკის ზემოაღნიშნულ ინიციატივაზე ჯერჯერობით უცნობია: ანატოლი ბიბილოვი ამ დრომდე მოსკოვში იმყოფება. ოსურ პარლამენტში კი თვლიან, რომ ეს იდეა შეესაბამება „რესპუბლიკისთვის“ პერსპექტიული იყოს.

„2008 წლამდე 4 არაღიარებულ რესპუბლიკას - აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს, დნესტრისპირეთსა და მთიან ყაბაბაძეს უკვე გვაერთიანებდა სამოკავშირეო დოკუმენტები, რომლებიც სამხედრო-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას ითვალისწინებდა. ასე რომ, პლოტინსკის იდეა რეკონსტიტუირებად ვერ ჩაითვლება, თუმცა შესაძლოა, სამხრეთ ოსეთისთვის პერსპექტიული იყოს ეკონომიკური, იურიდიული, სამართლებრივი და სხვა კუთხით. არსებობს გარკვეული სფეროები - სოფლის მეურნეობა, საბანკო სექტორი და სხვა, რომლებშიც ერთმანეთის შევსება შეეძლება. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ამ მიმართულებაზე ჩვენთან პანკრატის პრეზიდენტი აგებს და ეს მისი კომპეტენციაა. პირადად მე ვურჩევდი მას, უფრო აქტიურად განავითაროს ეს თანამშრომლობა და ახალი პერსპექტივები“ - განაცხადა „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე, ოსური პარლამენტის დეპუტატმა ალექსანდრე ფილიევამ.

ანალოგიური პოზიცია აქვს ოსური პარლამენტის ეკონომიკის, მცირე მეწარმეობისა და სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარეს, მმართველი პარტია „ერთიანი ოსეთის“ წარმომადგენელ ინალ ჯიოევს:

„მზარს ვუჭერ მსგავს თანამშრომლობას ყველა სფეროში, მათ შორის - საგარეო ეკონომიკურში. ერთი წლის წინათ, ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბების წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებზე, არაფორმალური საუბრები მიქონდა ლუგანსკის მთავრობის წარმომადგენლებთან და მათ ეკონომიკური თანამშრომლობა შემოგვთავაზეს. თუმცა შემდეგ, როცა ცხინვალში დავბრუნდი, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ინტერესი არ გამოვლენილა, მიუხედავად იმისა, რომ ლუგანსკი მზადაა, საკუთარი ბაზარი გახსნას ჩვენი მინერალური წყლისთვის - „ბაგაიათისთვის“.

არიან ცხინვალში სკეპტიკურად განწყობილებიც.

„დსთ-2“-ის იდეა 1990-იან წლებშიც უღერდა, თუმცა განვითარება ვერ პოვა და დავიწყებას მიეცა. პოლიტიკური თვალსაზრისით, მათ შორის საგარეო პოლიტიკური მიმართულებით არაღიარებული რესპუბლიკები, ლუგანსკი და დონეცკი ვერანაირად ვერ შეუწყობენ ხელს ნაწილობრივ აღიარებულთა განვითარებას. თანამშრომლობა, ვფიქრობ, უმთავრესად საეჭრო-ეკონომიკურ კონტაქტებზე შეიძლება იყოს ფოკუსირებული“, - განაცხადა ერთ-ერთმა ოსმა ექსპერტმა ანონიმურობის დაცვის პირობით.

ცხინვალში ბევრი სკეპტიკურადაა

განწყობილი სულ ახლახან, 11 მაისს დონეცკსა და ცხინვალს შორის 10 წლით, პროლონგაციის შესაძლებლობით გაფორმებული დოკუმენტების მიმართაც: „პრეზიდენტებმა“ ანატოლი ბიბილოვმა და ალექსანდრე ზახარჩენკომ „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“ შეთანხმება გააფორმეს. იმავდროულად, ხელი მოეწერა პროტოკოლებს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ, რომელიც ორივე „რესპუბლიკაში“ „საელჩოების“ გახსნას ითვალისწინებს (პირველად ამის მცდელობა 2015 წელს განხორციელდა, თუმცა მაშინ წარმომადგენლობები ვერა და ვერ იქცა სრულფასოვან დიპლომატიურ მისიებად). ე.წ. სამხრეთ ოსეთს, ლუგანსკისა და დონეცკის „სახალხო რესპუბლიკებს“ შორის გაფორმდა ასევე რიგი „საპარლამენტთაშორისო“ და „სამთავრობოთაშორისო“ ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, ვაჭრობის, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში.

სანამ ექსპერტთა შეფასებებზე გადავიდოდით, მოკლე ცნობა: **ე.წ. სანქსიონისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკის აღიარება აღიარებულია საბანკო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმეს. მთავრად სხალი განადა ამ შეთანხმების შექმნის ფაქტობრივი მიხედვით: ე.წ. სანქსიონისა და ლუგანსკისა და დონეცკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკისა და დონეცკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკისა შორის.**

ეს ერთიანი ოსეთისა და სანქსიონისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკისა და დონეცკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკისა შორის.

„რაც შეეხება შეთანხმების პრაქტიკულ სარგებელს, იგი, მაგალითად, ესმარება დონეცკს, ნახშირით ივაჭროს. მყიდველები რეგისტრირდებიან ცხინვალში, როგორც ადგილობრივი ფირმები. ოსური საბანკო ანგარიშებით დონეცკის სანარმოებო ანარმოებენ ანგარიშსწორებას რუსეთთან. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, ეს დაეხმარება დონეცკის ეკონომიკას გადარჩენაში“.

ანუ რუსეთი არ აღიარებს „ღონისკის სახალხო რესპუბლიკას“, მაგრამ აღიარებს ე.წ.სა-

ხალხო რესპუბლიკას „ღონისკის სახალხო რესპუბლიკას“. ანგარიშ, სხინვალის შუამავლობით იქმნება იურიდიული ჯაჭვი მოსკოვსა და ღონისკის შორის.

გაუგებარია მხოლოდ, რა საჭირო იყო ახალი შეთანხმება, თუ მის გარეშე, ძველი შეთანხმებების საფუძველზე ყველაფერი თითქოს მუშაობდა.

ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევითი ცენტრის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელ ალექსანდრე სკაკოვის აზრით, შესაძლოა, ეს თანამშრომლობა მხოლოდ ეკონომიკური სფეროთი არ შემოიფარგლოს:

„სრულიად შესაძლებელია ასევე თანამშრომლობა სამხედრო-თავდაცვითი მიმართულებით. ვფიქრობ, ეს ყველაფერი შეთანხმებული იყო რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების ამასწინანდელ შეხვედრაზე და შეთანხმების გაფორმება შემთხვევითი არ არის. ამ შეთანხმებას, ცხადია, გარკვეული მნიშვნელობა აქვს დონეცკის სახალხო რესპუბლიკისთვის, მაგრამ სამხრეთ ოსეთს იგი არაფერს მისცემს“.

„როგორც ვიცით, ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის ოდესის ოქტის გუბერნატორად დანიშნვის გამო საქართველო-უკრაინის ურთიერთობები საგრძნობლად გაგრილდა, თუმცა მას შემდეგ, რაც სააკაშვილს თანამდებობის დატოვება მოუწია, ეს ურთიერთობები ახალ - დათბობის ეტაპზე გადავიდა. თანაც, პოროშენკოს მხრიდან ადგილი აქვს მცდელობას, ააღორძინოს ჯუმაშის მოქმედება. ამ ორგანიზაციის საქმიანობა კი მიმართულია როგორც რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის, ისე დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების წინააღმდეგ. ამდენად, ჩვენს რესპუბლიკებს მართებთ, დაფიქრდნენ საერთაშორისო ასპარეზზე ძალისხმევის გააქტიურებაზე საქართველოსა და უკრაინის სანაწილ-მდგომარეობის სფეროში“.

ასეა თუ ისე, ჯერ კიდევ ოსური პარლამენტის სპიკერობის პერიოდში ანატოლი ბიბილოვი არაერთხელ სტუმრობდა დონეცკსა და ლუგანსკს, ხოლო 11 მაისს შეთანხმების გაფორმება დონეცკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკის დაარსების შესახებ წლისთავს მიუძღვნა.

და საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა: ბიბილოვს ერთი წლით უკრაინაში შესვლა აუკრძალა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა იმ ფიზიკურ პირთა რიცხვში ამოჰყო თავი, რომელთა მიმართაც ოფიციალურმა კიევმა სანქციები შემოიღო.

ცხინვალში მოსკოვა თავისი უფრო დანიშნა

რუსეთის პრეზიდენტმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში ე.წ. საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი დანიშნა.

„ეს არის ოკუპანტის კიდევ ერთი წარმომადგენელი. ამაზე ვერანაირი კომენტარი ვერ მექნება. ჩვენ პარტნიორებთან ერთად გავაგრძელებთ მუშაობას, რათა დასრულდეს ოკუპაცია და მათი წარმომადგენლობის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე“, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ.

რა თქმა უნდა, ამას არანაირი ლეგიტიმური და სამართლებრივი განზომილება არ გააჩნია ჩვენთვის, - ასე გამოეხმაურა ამ ახალ პროვოკაციას შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი. როგორც ცხელაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საუბარია პირზე, რომელიც უშუალოდ ჩართული იყო 2008 წლის მოვლენებში.



„ერთი დღე აკადემიაში“

შსს-ს აკადემიაში ახალი საგანმანათლებლო პროექტის - „ერთი დღე აკადემიაში“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და შსს-ს აკადემიის რექტორი გივი მიქანაძე ესწრებოდნენ.


პროექტის მიზანია შსს-ს აკადემიის პოპულარიზაცია, პოლიციის როლის უკეთ წარმოჩენა და შსს-ს აკადემიაში მიმდინარე პროგრამებისა და პრიოტეტების შესახებ მოსწავლეების ინფორმირება.



„საპატრიარქო პერანოს დაუდგება აღვოკატად“

საპატრიარქო ვერავის დაუდგება ადვოკატად, თუ არასწორი სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდებოდა რომელიმე სასულიერო პირის მხრიდან - კი ბატონო, დაინტერესდეს საგამოძიებო უწყება, - ამის შესახებ პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„არანაირი სურვილი არ მაქვს მამა-ლაძის ქონებასთან დაკავშირებით ვისაუბრო. მე ვფიქრობ, ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ გამოძიებას. გამოძიება ძალიან ზედმიწევნით მიყვება ამ საქმეს და ყოველდღიურად იღებს ინფორმაციებს. საქართველოს საპატრიარქოს პოზიციას ვერ მოგახსენებთ. აქ წმინდა წყლის საგამოძიებო საქმიანობა მიმდინარეობს. ჩვენ გამოძიებაში ვერ ჩავერევით და ვერ მივიღებთ მონაწილეობას. ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა“, - განაცხადა მიქაელ ბოტკოველმა.



უნდა მივიჩვიოთ, რომ სარეზერვუო ალარ იქნება და ალარს უნდა იყო

ფარმერები აბროდაზღვევასა და სტიქიაზე



წლის განმავლობაში 147,4%-ით გაიზარდა. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „აგროდაზღვევის პროგრამის“ მენეჯერი **ლევან მაღრაძე** „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ამ დროისთვის ჯამში 7414 სადაზღვევო პოლისია გაცემული. გასული წლის 22 მაისის მდგომარეობით კი 2996 პოლისი იყო გაცემული; მისი განცხადებით, წელს პროგრამაში 5 სადაზღვევო კომპანია (ალდაგი, ჯიპიაი პოლიცი, აისი ჯგუფი, არდი და ალფა) ჩართული.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი კი აგროდაზღვევის საჭიროებას ვერ ხედავს და აცხადებს, რომ მათ „დაზღვევაში“ დასახარჯი ფული არა აქვთ. აგროდაზღვევის პროგრამაში მიმდინარე წლიდან თანამონაწილეობა სახელმწიფოს მხრიდან ყველა კულტურაზე 70%-ია, ხოლო ვაზზე 50%.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი კი აგროდაზღვევის საჭიროებას ვერ ხედავს და აცხადებს, რომ მათ „დაზღვევაში“ დასახარჯი ფული არა აქვთ. აგროდაზღვევის პროგრამაში მიმდინარე წლიდან თანამონაწილეობა სახელმწიფოს მხრიდან ყველა კულტურაზე 70%-ია, ხოლო ვაზზე 50%.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, სარგებლობენ თუ არა აგროდაზღვევით სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ხედავენ თუ არა მის საჭიროებას, იზიარებენ თუ არა სოფლის მეურნეობის მინისტრის პოზიციას და აწყობიან თუ არა რაიმე პრობლემას სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობისას?

ქართვის რაიონში მდებარე კოოპერატივი „ქვენატკოცას“ საკუთრებაში 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთია, სადაც ვაშლის ბაღები გაშენებული. კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე **მალხაზ ბელაშვილი** „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ამ დროისთვის ბაღები დაზღვეული არა აქვს, რადგან ელოდება საგაზაფხულო ყინვას რამდენიმე პროცენტი გადაურჩება. გელაშვილი აცხადებს, რომ მხოლოდ ამის შემდეგ დააზღვევს სადაზღვევო კომპანია.

ლოდ ამის შემდეგ დააზღვევს სადაზღვევო კომპანია. „სანამ არ გაირკვევა, რამდენი პროცენტი გადარჩება, მანამდე არ დააზღვევენ. ბალი კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს. თუ ვაშლი არაფერი არ შეინარჩუნა, ვინ დამიზღვევს? ისე მე ყოველწლიურად ვაზღვევ ხოლმე. საგაზაფხულო ყინვაზე დაზღვევა არ გრცელდება, ვრცელდება მხოლოდ საშემოდგომოზე. ეს ვის რაში სჭირდება? მთავარი საგაზაფხულო ყინვაა“, – აცხადებს გელაშვილი.

მისი განმარტებით, აუცილებელია ყველა ფერმერს დაზღვეული ჰქონდეს მიწის ნაკვეთი იქნება თუ ბაღი. მით უმეტეს, რომ ამაში ხელისუფლება დიდი წილით შემოდის. „ჩვენს შემთხვევაში, 1 ჰექტარ ბაღზე ჩვენი გადასახადი 450 ლარი იყო. დანარჩენს სახელმწიფო იხდიდა“, – აცხადებს გელაშვილი.

როგორც გელაშვილი განმარტავს, ხელისუფლება საკმაოდ აქტიურ საინფორმაციო კამპანიას ეწევა და ის ადამიანები, ვინც დაინტერესებული არიან, ამას საკმაოდ კარგად იყენებენ. მისი განცხადებით, სამწუხაროა, რომ ქვეყანაში ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც არაფერი არ აინტერესებს.

საშურში არსებული კოოპერატივი „ბარაქას“ გამგეობის თავმჯდომარე **ზაზა სუსიაშვილი** აცხადებს, რომ აგროდაზღვევა ქვეყანაში აუცილებელია. მისი განცხადებით, კოოპერატივის საკუთრებაშია ხორბლის ყანები და ვაშლის ბაღები, რომელიც ყოველწლიურად დაზღვეულია. სუსიაშვილის განცხადებით, აუცილებელია ფერმერი აგროდაზღვევით სარგებლობდეს.

რატივი „ბარაქას“ გამგეობის თავმჯდომარე **ზაზა სუსიაშვილი** აცხადებს, რომ აგროდაზღვევა ქვეყანაში აუცილებელია. მისი განცხადებით, კოოპერატივის საკუთრებაშია ხორბლის ყანები და ვაშლის ბაღები, რომელიც ყოველწლიურად დაზღვეულია. სუსიაშვილის განცხადებით, აუცილებელია ფერმერი აგროდაზღვევით სარგებლობდეს.

რატივი „ბარაქას“ გამგეობის თავმჯდომარე **ზაზა სუსიაშვილი** აცხადებს, რომ აგროდაზღვევა ქვეყანაში აუცილებელია. მისი განცხადებით, კოოპერატივის საკუთრებაშია ხორბლის ყანები და ვაშლის ბაღები, რომელიც ყოველწლიურად დაზღვეულია. სუსიაშვილის განცხადებით, აუცილებელია ფერმერი აგროდაზღვევით სარგებლობდეს.

რატივი „ბარაქას“ გამგეობის თავმჯდომარე **ზაზა სუსიაშვილი** აცხადებს, რომ აგროდაზღვევა ქვეყანაში აუცილებელია. მისი განცხადებით, კოოპერატივის საკუთრებაშია ხორბლის ყანები და ვაშლის ბაღები, რომელიც ყოველწლიურად დაზღვეულია. სუსიაშვილის განცხადებით, აუცილებელია ფერმერი აგროდაზღვევით სარგებლობდეს.

ლობას ვერ ხედავს ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში მდებარე კოოპერატივი „დოვლათის“ გამგეობის თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, რომელიც მენეჯერობა-მეხილეობას ეწევა და აქვს თხილის ბაღები. ბერიძის განმარტებით, ამ დრომდე აგროდაზღვევით არ უსარგებლია და არც უახლოეს პერიოდში აპირებს. მისი განცხადებით, ამ ეტაპზე საჭიროდ არ თვლის ფული დაზღვევაში გადახდას.

„ჩემს ნაკვეთზე მაღალი ძაბვის გადამცემმა საზმა გაიარა და რა დაზღვევაზე მაქვს საუბარი, ეს დენახი თავისთავად გაფუჭებულია. რა მიწაც წაიღეს, იმის კომპენსაციას მაძლევენ, დანარჩენს არაფერს“, – აცხადებს ბერიძე.

საქართველოში აგროდაზღვევის პროგრამით გაცემული პოლისების რაოდენობა ერთი

შეგახსენებთ, აგროდაზღვევის ახალი პროგრამისთვის, ბიუჯეტიდან წელს 7 მილიონი ლარი გამოიყოფა. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა 2014 წელს დაიწყო და უკვე 3 წელია, მიმდინარეობს. პროექტის მიზანი აგროექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა) შემცირებაა.

აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 30 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ასევე ნებისმიერ ბენეფიციარს, რომელიც ფლობს, მაგალითად, 30 ჰექტარს ან 100 ჰექტარს, შეუძლია 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დაზღვევისას მიიღოს სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება.

სოფო ქსოვრელი

ქართული ღვინო და ამერიკელი პროფესიონალები

ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ღვინის იმპორტიორები, სომელიერები და ღვინის მწერლები შედიან, საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია. ჯგუფის ხელმძღვანელია ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი, ამერიკული მარკეტინგული კომპანია „Marq Energie“-ის მმართველი ჯული პეტერსონი (Julie Peterson).

როგორც „კომერსანტს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, ტურის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ქართლში, იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში და კახეთში, სადაც გაეცნენ ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიებს, დააგემოვნეს როგორც ვეროპული, ასევე ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინოები.

„Marq Energie“-ის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ქართული ღვინის მიმართ ინტერესი ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე მზარდია.

„ბევრი ღვინის მწერლისა და სომელიესთვის ეს პირველი ვიზიტი იყო საქართველოში. ჩვენ ვესტუმრეთ დასავლეთ საქართველოს – რაჭას, იმერეთს, ლეჩხუმს, რადგან გვიანტერესებდა, რა ხდებოდა იქ ღვინის სფეროში, ვინ არიან მწარმოებლები, რომელი განსხვავებული ყურძნის ჯიშებია, რითი განსხვავდება აღმოსავლეთისგან აქაური ღვინოები. ბოლო სამი დღის მანძილზე დასავლეთ საქართველოში ვიყავით, დღეს ქართლში ვართ და შემდეგი სამი დღე კი კახეთში ვიქნებით. ვიმოგზაურებთ აღმოსავლეთ საქართველოში, რათა შევადაროთ აღმოსავლეთის სტილი და ჯიშების მრავალფეროვნება დასავლეთ საქართველოს ღვინოებთან“ – განაცხადა ჯული პეტერსონმა.

ჯგუფის შემადგენლობაშია ცნობილი ჟურნალისტი, ჟურნალ „Wine and

Spirit“-ის მთავარი კორესპონდენტი, რომელიც ასევე წერს „Los Angeles Times“-ში პატრიკ კომისკი.

„ეს ჩემი პირველი მოგზაურობაა საქართველოში. რამდენიმე წელია, რაც ქართულ ღვინოებს გავეცანი, თუმცა აქ ყოფნა სრულიად განსხვავებული გამოცდილებაა, ბევრად რეალურია და ეს ადგილიც ძალიან ცოცხალია. საუკეთესო რაც შეიძლება ითქვას ხალხზე, ღვინოზე და კულტურაზე ისაა, რომ იგრძნობა რამდენად ნამდვილია ყველაფერი, განსაკუთრებით ღვინოები. რაც უმწველესად გვიჩვენებს, რომ ეს ერთ-ერთი უმწველესი ღვინის ქვეყანაა, რაც კი ოდესმე მინახავს, მოკრძალებული და ნამდვილი, ღვინოებში იგრძნობა, რომ ისინი უბრალოდ რომელიმე განსაკუთრებული ადგილიდან კი არა, გულიდან მოდიან“ – აღნიშნა პატრიკ კომისკმა (Patrick Comisky).

ქართლში ამერიკელი პროფესიონალები სოფელ ჩარდახში მეღვინე **იბარ ბიტარიშვილს** ესტუმრნენ, რომელიც აცხადებს, რომ მსგავსი ღვინისტივები ხელს უწყობს ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას და შესაბამისად ექსპორტის ზრდას აშშ-ის ბაზარზე.

„ბაზრების დივერსიფიკაცია ქართული ღვინისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.



როდესაც საუბარია აშშ-ის ბაზარზე, ეს ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბაზარია, სადაც აფასებენ ღვინოს, ეს ქვეყანა ღვინის ბაზარზე გარკვეულ წესებსაც ამკვიდრებს. აშშ-ში ექსპორტის შედეგების მიხედვით წლიდან წლამდე მივიწვეთ წინ, თუმცა ამ ქვეყანაში ჩვენი ღვინის პოტენციალი უფრო დიდია და ის ღვინისტივები, რომელიც ტარდება აშშ-ში, იქნება ეს გამოფენა, თუ სხვა სახის დეგუსტაციები, ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისთვის ამერიკის ბაზარზე“ – აღნიშნა იაკო ბიტარიშვილმა.

ტური ორგანიზებული იყო ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ შემდეგი ღვინის მწარმოებლების პროდუქცია: „ამირან ვეფხვიას მარანი“, „არჩილ გუნიავას მარანი“, „რამაზ ნიკოლაძის ღვინოები“, „პატარიძის საოჯახო მეღვინეობა“, „როიალ სვანჭკარა“, „უსახელაურის ვენახები“, „ზურაბ თოფურაძის საოჯახო მეღვინეობა“, „მამუკა ჩხეიძის მარანი“, „იაგოს ღვინოები“, „სალვინარი“, „ვიტა ვინაი“, „შალაურის ღვინის მარანი“, „ჭოტიაშვილის ღვინის მარანი“, „ფაფრის ველი“, „მუკადო ვინისი“, „ლუკასი“, „თამარ მილორავას ღვინოები“, მეღვინეობა „ნიკა“, „ოქრო ვინისი“, „ხობნის ტრემლეტი“ და „გიუანი“, ასევე ეწვევენ მექვევრე ზაზა კბილაშვილს.

აშშ-ში აქტიური მარკეტინგული ღვინისტივების განხორციელება ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას აშშ-ის ბაზარზე და ზოგადად ქართული ღვინის საექსპორტო არეალის გაფართოებას. მიმდინარე წლის 4 თვის მონაცემებით, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 101 370 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 21%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

გასვლითი სემინარი საბარაჯოში



ქართული სატყეო მეცნიერებისა და განათლების ფუძემდებლები

საბარაჯოში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების ინიციატივით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო და დაცული ტერიტორიების სააგენტოებთან ერთად, საგარეჯოს რაიონში ჩატარდა ქართული სატყეო მეცნიერებისა და განათლების ფუძემდებლების - აკადემიკოს ვასილ გულისაშვილისა და პროფესორ სოლომონ ქურდიანის სსოვნისადმი მიძღვნილი სემინარი.

აკადემიკოს ვ. გულისაშვილისა და პროფესორ ს. ქურდიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა რ. ჩაგელიშვილმა, რომელმაც სემინარის მონაწილეებს კიდევ ერთხელ შეახსენა ამ ორი ერისკაცის უდიდესი დამსახურების შესახებ არა მხოლოდ სატყეო მეცნიერებისა და განათლების განვითარების თვალსაზრისით საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, არამედ მათ დიდი მოქალაქეობრივ მისიასა და ღვაწლზე საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე. აღინიშნა, რომ პროფესორ ს. ქურდიანმა, სხვა დიდ ქართველ მამულიშვილებთან ერთად წველილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებასა და ეროვნული უმაღლესი განათლების ნინსვლაში. იგი იყო ასევე ერთ-ერთი ინიციატორი საქარველოში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსებისაც. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით 1930 წელს დაარსდა ამიერკავკასიის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც 1933 წელს გადაკეთდა თბილისის სატყეო-ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლად. პროფ. ს. ქურდიანის ინიციატივით 1925 წელს დაარსდა ყვარლის სატყეო სასწავლებელი, რომელმაც შემდეგ თბილისში და ბოლოს ბორჯომში დაიდო ბინა. აკად. ვ. გულისაშვილმა კი საფუძველი ჩაუყარა ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველ და ერთადერთ სამ-

თო პროფილის სატყეო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

აკად. ვ. გულისაშვილისა და პროფ. ს. ქურდიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების სწავლულმა მდივანმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა გ. გაგოშიძემ, გავით „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა გ. გოგიაშვილმა, საქართველოს სატყეო ინსტიტუტის დირექტორმა, დოქტორმა გ. ქავთარაძემ, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორმა ა. სუპატაშვილმა და სხვებმა.

სემინარის მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე თ. დეკანოიძე, ამავე სააგენტოს წამყვანი მეტყევე-სპეციალისტი ა. მიქაბერიძე და გ. კაპანაძე, ეროვნული სატყეო სააგენტოს წამყვანი სპეციალისტი ვ. ჩალაძე, მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი ზ. ტიგინაშვილი, ამავე ნაკრძალის დაცვის სამსახურის უფროსი მ. მებრალიძე, მეტყევე-სპეციალისტი, ს/მ მეცნიერებათა დოქტორი დ. დოლიძე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ა. აფციაური, ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის მეტყევე-სპეციალისტი ვ. გრძელიშვილი, საგარეჯოს რაიონის სოფ. გიორგინმინდის აკად. ვ. გულისაშვილის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორი მ. ჭიბაბერაშვილი და მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალისა და საგარეჯოს სატყეოს მეტყევე-სპეციალისტები.

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა რ. ჩაგელიშვილმა.

გიორგი გაგოშიძე, ლაზა დოლიძე



ჯარიმებისგან გათავისუფლება - ბარკვეული პირობებით

პარლამენტში შესულია კანონპროექტი, რომელიც 2007 წლიდან 2015 წლის 20 აპრილამდე მრავალსართულიანი სახლების უკანონო მშენებლობებს, გარკვეული პირობებით ჯარიმებისგან ათავისუფლებს.

კანონპროექტის მიხედვით, ცვლილება უნდა შევიდეს საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“. ინიცირებული პროექტის მიხედვით, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დროებითი წესი იმ სუბიექტებს შეეხება, რომელთა მიერ 2007 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 20 აპრილამდე სანებართვო პირობების დარღვევით ან უნებართვოდაა ნაწარმოები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოები: შენობა-ნაგებობის, მზიდი ელემენტების, ექსტერიერის რეკონსტრუქცია.

აღნიშნული პირობები ჯარიმა-საურავის გადახდისგან გათავისუფლებიან, თუ მათ მიერ ჩადენილი სამშენებლო სამართალდარღვევა გამოწვეულია აღნიშნული ნორმის ამოქმედების მომენტისათვის, ან გამოსწორდება, ან გამოსწორება კანონით დადგენილი წესით დადასტურდება მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ ნორმის ამოქმედებიდან ერთი წლის ვადაში.

კანონპროექტით სტიმულირდება სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევების ნებაყოფლობითი გამოსწორება დამრღვევი პირების საჯარო-საწესრიგისგან გათავისუფლების გზით, ამასთან, იქმნება უკვე დამთავრე-

ბული მშენებლობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის კანონისმიერი ბერკეტი.

ინიციატორთა ინფორმაციით, აღნიშნული კანონის მიღება თბილისის ბიუჯეტის საშუალოსავლო ნაწილს საშუალოდ 1 360 000 ლარით შეამცირებს. კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

აღნიშნული ცვლილება არ ვრცელდება მეხუთე კლასისათვის მიკუთვნებულ შენობა-ნაგებობებსა და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ უძრავ ძეგლებზე.

რაც შეეხება დღეს არსებულ საჯარო-საწესრიგის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ თანახმად, თბილისის ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობა ან/და რეკონსტრუქციის წარმოება ისჯება 8 000-ლარიანი ჯარიმით, აგრეთვე, ამ კანონის შესაბამისად, უნებართვო შენობა-ნაგებობა ექვემდებარება დემონტაჟს. დედაქალაქის ტერიტორიაზე სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგულაციებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა კი ითვალისწინებს ჯარიმას მეორე კლასის შენობა-ნაგებობისათვის - 2 000 ლარის, მესამე კლასის შენობა-ნაგებობისათვის - 3 000 ლარის, მეოთხე კლასის შენობა-ნაგებობისათვის - 4 000 ლარის ოდენობით.



სანარმოო პროცესი 23 ბიზნესოპერატორს შეუჩივდა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გასულ კვირას სხვადასხვა პროფილის ბიზნესოპერატორის სახელმწიფო კონტროლი განახორციელა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 226 ინსპექტირება, მათ შორის, თბილისში ინსპექტირებულია 79 ბიზნესოპერატორი; ზედამხედველობა განხორციელდა 8 ბიზნესოპერატორთან.

ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია სურსათის 64 ნიმუში. დოკუმენტურად შემოწმდა 295 ობიექტი (112 ბიზნესოპერატორი თბილისში), მათ შორისაა საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძის, რძის პროდუქტების, თევზის, პურფუნთუშეულისა და სხვ. სურსათის მწარმოებლები და საწარმო-ზაფხუი ობიექტები; საბავშვო ბაღისა და სკოლის ბუფეტები. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დააჯარიმა 63 ბიზნესოპერატორი, სანარმოო პროცესი შეუჩერდა 23 ბიზნესოპერატორს.

ყალბ აქციზურ მარკებს აუხადებდნენ

საბარაჯოში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ყალბი აქციზური მარკების დამზადება-გასაღების ფაქტზე, თურქეთის ორი და საქართველოს ერთი მოქალაქე დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა უახლესი პოლიგრაფიული ტექნოლოგიების გამოყენებით დაამზადეს თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი, 46 000 ერთეული ყალბი ქართული აქციზური მარკა, რომლის ნამდვილი აქციზური მარკისგან გარჩევა სპეციალური მოწყობილობის გამოყენების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებულები დააკავა აღნიშნული ყალბი აქციზური მარკების რეალიზაციის დროს.

მეორადული გაფორმდა

საბარაჯოში სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და ავსტრიის რესპუბლიკის იუსტიციის ფედერალურ სამინისტროს შორის ურთიერთგაგების მეორადული გაფორმდა. დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა და ავსტრიის რესპუბლიკის ვიცე-კანცლერმა, იუსტიციის ფედერალურმა მინისტრმა ვოლფგანგ ბრანდშტეტერმა მოაწერეს ხელი, სასჯელალსრულებისა და პრობაციის სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

მეორადული თანახმად, უწყებები ორმხრივი თანამშრომლობისა და მყარი პარტნიორობის ჩამოყალიბებას შეუწყობენ ხელს. დაგეგმილია თანამშრომლობა პენიტენციური სისტემების მართვის, პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებების დაცვის, უსაფრთხოების, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის, პენიტენციური ჯანდაცვის, თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების განვითარებისა და სხვა მიმართულებებით, ასევე, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ექსპერტებისა და შესაბამისი სფეროების წარმომადგენელთა მონაწილეობით კონფერენციების, შეხვედრებისა და სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზება.

გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკის განვითარება მსოფლიო ეკონომიკის ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებს...

მესამე ათწლეულის დასაწყისში გართულებულია განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის მართვის და მოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება...

რაც შეეხება საქართველოში ეკონომიკის განვითარების გენერალური სტრატეგიის შესახებ მთავრობის ინიციატივას...

ლებლობები განაპირობებს. მრავალმხრივი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების არსებობა...

არასაკმაოდ განვითარებული (ახალინდუსტრიული ქვეყნების) ეკონომიკისათვის არსებობს სხვადასხვა მიდგომა...

უმუშევრობა, რასაც მოჰყვება პოლიტიკური პროცესების გამწვანება. ამიტომ განვითარებადმა ქვეყნებმა...

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ბენეფიციური სტრატეგია

ბუნებაში არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა...



ვის, ინფორმაციული ეკონომიკისა და მომსახურების სხვა დარგების განვითარების შესახებ, რომელთა გარეშე ისინი მუდამ სუსტად განვითარებული, აგრარული ქვეყნები იქნებიან...

ეფექტიანად გამოყენება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა. მით უფრო აქტუალურია იგი საქართველოსათვის...

რაც შეეხება განვითარებად, „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს, სადაც ინდუსტრიალიზაციის დონე დაბალია, მათთან მიმართებაში განვითარების გენერალური სტრატეგიისადმი კიდევ უფრო განსხვავებული მიდგომაა...

1. ინვესტიციებთან დაკავშირებული სირთულეები. მრეწველობის პრიორიტეტული განვითარება საკმაოდ დიდ ინვესტიციებს მოითხოვდა, მაგრამ არააჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის გამო...

2. ადგილობრივმა მრეწველობამ ნაკლებგანვითარებული ტექნოლოგიებისა და დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის გამო, ვერ შეძლო იმპორტისადმი კონკურენციის განხორციელება...

3. შიდა ბაზრის სიღრმისა და დაბალი მოთხოვნის გამო, ეს ქვეყნები ვერ ახერხებდნენ რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას...

რაც შეეხება საქართველოს, 2012 წლის ოფიციალური მონაცემებით, აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო მომუშავეთა 55,6%, ინდუსტრიაში - 8,9%, ხოლო მომსახურების სფეროში - 35,5%...

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში გამოკვეთილია დიდი მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარება უნდა დაიკავოს. ეს პროგრესის საფუძველია. პრიორიტეტული საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება...

საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარება საქართველოში მისი აყვავებისა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ოპტიმალური გზა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობაა...

საკურორტო-ტურისტული სპეციალიზაცია მნიშვნელოვნად გაზარდის უცხოური კაპიტალის დაბანდებას საქართველოში; ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას (ვინაიდან მასზე მოთხოვნა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ამ სფეროში მენარმეობის დაწყებისათვის საკმარისია მცირე სასტარტო ინვესტიციები, ამასთან, ტურისტული ფირმების გაკოტრების პროცენტული მხოლოდ 0,5-ის ტოლია, ხოლო ამ სფეროში დანახარჯების უკუგების ვადები მინიმალურია); შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს; შეამცირებს უმუშევრობას, აამბლებს მთიანი რაიონების შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონეს და ხელს შეუწყობს მათ ადგილზე დამაგრებას; შექმნის მყარ საშინაო ბაზარს. ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რეალიზაციისათვის, ხელს შეუწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას; დააჩქარებს საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებას; ხელსაყრელ პირობებს შექმნის ადგილობრივი მოსახლეობის მკურნალობისა და დასვენებისათვის, რაც მრავალ სიკეთესთან ერთად, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში აისახება; გააუმჯობესებს დემოგრაფიულ სიტუაციას საქართველოში; პოზიტიური მიმართულებით სახეს შეუცვლის ეკოლოგიას და ა.შ. ამიტომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს მეცნიერული მიმართულება აღნიშნული სფეროს განვითარების კვლევაში. აუცილებელია სახელმწიფო დონეზე შეიქმნას კურორტებისა და ტურიზმის განვითარების მიზნობრივი პროგრამა. კურორტებისა და ტურიზმის განვითარება საქართველოში ევროპის კენ მთავალი რეალური გზაა.

როუზაბა ასათიანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს გეგნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი

მარშალი უუკოვი კი აი, რას უყვება მკითხველებს თავის მემუარებში, რომლის დამახინჯებასაც და გაყალბებასაც დაბეჯითებით ცდილობდნენ „დეტალინიზატორები“: „სსრ კავშირზე საპაერო თავდასხმის საფრთხე ომისწინა წლებში დაბეჯითებით იზრდებოდა“. ვინ ემუქრებოდა საპაერო დარტყმებით ჩვენ ტერიტორიას? ამის გაგება ადვილია, თუ წავიკითხავთ იმავე უუკოვს, სადაც აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის ხელმძღვანელობა აძლიერებდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას: „ჯარებს, რომლებიც იცავდნენ მოსკოვს, ლენინგრადსა და ბაქოს, თავის შემადგენლობაში ჰყავდათ საშუალო კალიბრის ყველა საზენიტო საარტილერიო ბატარეების 40 პროცენტზე მეტი“. არავის და არასოდეს არ უთქვამს და არ დაუნერია გერმანიის ავიაციის შესაძლო თავდასხმის შესახებ ბაქოს საბალოებზე. ასეთი გეგმები გერმანელებს არ ჰქონიათ. ჩვენ კი ვხედავთ, რომ ორ დედაქალაქთან ერთად ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების მთავარ მასას სტალინი სწორედ იქ განათავსებდა.

„მიუხედავად უკვე დანკებული მსოფლიო ომისა, ყველგან ვლინდებოდა დიდი სურვილი, დახმარებოდნენ ფინელებს ავიაციითა და სხვა ძვირფასი სამხედრო მასალებით, აგრეთვე მოხალისეებით ინგლისიდან, შვედეთიდან, შტატებიდან და განსაკუთრებით საფრანგეთიდან“, — ამას წერდა ჩერჩილი. მეტად საინტერესოა. როდესაც სსრ კავშირი ავზავნის მოხალისეებს ესპანეთში, ჩვენთვის ხომ ცხადია, რომ ესენი არანაირი მოხალისეები არ არიან, არამედ არიან მრჩეველები ან პროფესიონალი ტანკისტები ან მფრინავები. მაგრამ სსრ კავშირი მაშინ არავისთან არ იბრძოდა. აქ კი დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი აწარმოებენ მსოფლიო ომს და მზად არიან, დაეხმარონ ფინეთს თვითმფრინავებითა და „ძვირფასი სამხედრო მასალებით“, აგრეთვე გაგზავნონ „მოხალისეები“. იბრძოდნენ გერმანელებთან? არა — რუსებთან. რა უნდა თქვა — უკიდურესად მეგობრული პოზიციაა. მოდით, ეს დავიმახსოვროთ — 1941 წლის 22 ივნისამდე. ერთი წლით ადრე ინგლისი და საფრანგეთი იმდენად იყვნენ ალვისილი „კეთილი“ გრძობებით სსრ კავშირთან დამოკიდებულებაში, რომ ამზადდნენ თავიანთ ავიაციას თავდასხმისთვის ბაქოში ნავთობსაბალოებზე.

მაშინ სწორედ ბაქოს ნავთობი იყო ჩვენ ქვეყანაში ნახშირყალბადის მიღების ძირითადი წყარო. დაბომბავენ ინგლისელები საბალოებს — სტალინი დარჩება სანკავის გარეშე. წინ ვუსწრებთ შეკითხვას — რატომ არ განხორციელდა ბაქოზე დარტყმის გეგმები? გიპასუხებთ: ჰიტლერმა შეუშალა ხელი. თანაც ორჯერ. თავდაპირველად თავისი შესვლით ნორვეგიაში მან გადაკეტა დასავლეთის დესანტის მიწოდებისა და ფინეთის დახმარების გზები. და ფინელებმა ლონდონისგან დახმარება ვერ მიიღეს — „მოხალისეები“ იქ ვერაფრით ვერ მივიღებ. მეორედ შეუშალა ხელი გერმანიამ ინგლისელებსა და ფრანგებს, როდესაც საფრანგეთში განხორციელდა დარტყმა, რაც 1940 წლის 10 მაისს დაიწყო. მან აურია ყველა კარტი დასავლელ მოკავშირეებს. მაგრამ ფრანგების კაპიტულაციის შემდეგ 1940 წლის 22 ივნისს ბაქოს დაბომბვა შეეძლო მხოლოდ აშკარა იდიოტს, ეს გეგმები განზე გადადეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დიპლომატიური მანევრი 1941 წლის წინ. ინგლისი და საფრანგეთი 1940 წლის დასაწყისში ამუშავეს ბაქოს დაბომბვის გეგმებს. სტალინს ძალიან უნდა დარჩეს ომის გარეშე. ამიტომ ის აძლევს მითითებებს საგარეო საქმეთა სამინისტროს — კიდევ ერთხელ ახსნას საბჭოთა კავშირის პოზიცია. 1940 წლის 21 თებერვალს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მოლოტოვი სსრ კავშირის ელჩს ინგლისში მაისკის უგზავნის მითითებას. მისი ტექსტი უკიდურესად ნათელია. მას რომ კითხვობ, გიჩნდება ის აზრი, რომ მას წერდნენ არა მხოლოდ ინგლისელი დიპლომატებისთვის, არამედ თანამედროვე „დამოუკიდებელი“ უურნალისტებისა და „პატიოსანი“ ისტორიკოსებისთვის. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შიგნით საჭირო საზოგადოებრივი აზრის შექმნისთვის საბჭოთა კავშირს „თავისუფალ პრესას“ ხომ დაჟინებით უწოდებენ და წარმოგიჩინებენ ბერლინის მოკავშირედ.

1) ჩვენ ჩვენთვის სასაცილოდ და შეურაცხყოლად მიგვაჩნია არა მხოლოდ მტკიცება, არამედ უბრალოდ ვარაუდიც, რომ სსრ კავშირი თითქოს შევიდა გერმანიასთან სამხედრო კავშირში; 2) სამეურნეო შეთანხმება გერმანიასთან არის მხოლოდ ხელშეკრულება საქონელბრუნვაზე, რის მიხედვითაც სსრ კავშირიდან გამოტანა აღწევს მხოლოდ 500 მილიონ მარკას, თანაც ხელშეკრულება მომგებიანია სსრ კავშირისთვის, რადგან სსრ კავშირი გერმანიიდან დებულობს დიდი ოდენობით ჩარხებს და მოწყობილობას, თანაბრად საკმაოდ დიდი რაოდენობის შვიარაღებს, რომელთა გაყიდვაშიც, როგორც ცნობილია, უარს გვეუბნებოდნენ როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთშიც; 3) როგორც იყო სსრ კავშირი ნეიტრალური, ასევე ნეიტრალურად დარჩა, თუ, რასაკვირველია, ინგლისი და საფრანგეთი არ დაესხმებიან თავს სსრ კავშირს და არ აიძულებენ, აიღოს ხელში

ნიკოლაი სტალინი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვისხანავთ ერთად



იარაღი. დაჟინებით გავრცელებულ წმენბს გერმანიასთან სსრ კავშირის სამხედრო კავშირის შესახებ აშუქებენ ზოგიერთი ელემენტები არა მხოლოდ თავად გერმანიაში, რათა დაანერსონ ინგლისი და საფრანგეთი, არამედ თავად ინგლისსა და საფრანგეთის ზოგიერთი აგენტებიც, რომლებსაც სურთ, გამოიყენონ „სსრ კავშირის წარმოსახვითი გადასვლა გერმანიის ბანაკში“ თავისი განსაკუთრებული მიზნებისთვის საგარეო პოლიტიკის დარგში“.

მაშ, ცუდი იყო თუ კარგი სტალინური დიპლომატია? სტალინიმა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას გერმანიასთან თავდაუსხმელობის შესახებ. მიიღო დიდი 200 მილიონი მარკის ოდენობით. მიიღო ჩარხები და უახლესი საარტილერიო სისტემები, მოწყობილობა და ნახაზები. ამისთვის იხდიდა მეორეხარისხოვანი ნედლეულით. შეურიგდა იაპონიას. დაიბრუნა პირველი მსოფლიო ომის დროს დაკარგული ტერიტორიები. ჰიტლერმა, რომელიც იბრძოდა და ჰქონდა დანაკარგები, თავიდან ააცილა რუსეთს საფრთხე ინგლისელებისა და ფრანგების მხრიდან. და ეს ყველაფერი სტალინის მოხერხებულ მანევრის შედეგად ხდებოდა. მაშ, იყო განა შეცდომა ხელშეკრულება გერმანიასთან? ან, იქნებ, ყველაფერი თავისთავად მოხდა სტალინის მონაწილეობის გარეშე? სტალინის ნების წინააღმდეგ, როგორც ამას ამტკიცებენ ადამიანის უფლებათა „ნახევარდამცველები“?

არა, დიპლომატიაში აღარაფერი თავისით არ ხდება. იაპონიას რომ შეეცვალა თავისი პოლიტიკა სსრ

სტალინიმა და მე მაგრად დავათვრეთ მაცუოკა და ლამის შევიტანეთ ის ვაგონში. ეს გაცილებდა ღირდა იმად, რომ იაპონიამ არ დაიწყო ჩვენთან ომი. მაცუოკას ძვირად დაუჯდა ეს ვიზიტი ჩვენთან“.

ეს წიგნი სტალინიზეა, ამიტომ მეორე მსოფლიო ომის დიპლომატიის ნვრილმანებზე, რომლებიც ამხანაგ სტალინს არ შეეხება, ჩვენ დანერვილებით არ ვისაუბრებთ. სსრ კავშირის მთავარი ამოცანა კვლავინდებურად იყო — რაც შეიძლება შორს ვყოფილიყავით მსოფლიო ომისგან. ეს სტალინის პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო. მაგალითად, 1941 წლის თებერვალში სტალინის ინიციატივით სკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ, სკპ (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, დაეწყო სსრ კავშირის გენერალური სამეურნეო გეგმის შედგენა 15 წლით. სტალინს სურდა, ომის გარეშე დარჩენილიყო. მაგრამ ისტორიამ სხვაგვარად განსაჯა. ადოლფ ჰიტლერმა, რომელიც თავდაჯერებული ანგლოფობი იყო და არ სურდა, ებრძოლა ინგლისელებთან იმპერიის განადგურებად, თავს ნება მისცა, დარწმუნებულიყო და მოლაპარაკებოდა. დიდი ბრიტანეთი დაჰპირდა ჰიტლერს ნეიტრალიტეტს და ზავის მოეცა დადებამ, თუ ის გააკეთებს იმას, რის გამოც მოიყვანეს იგი გერმანიის ხელისუფლებაში — თავს დასხმოდა რუსეთს. ლონდონსა და ბერლინს შორის დეტალების საბოლოო ჩამოყალიბებისთვის მუშაობა დაიწყო ჰიტლერის მოადგილემ, რომელმაც „უეცრად“ 1941 წლის მაისში „გაიტაცა“ ავიაგამანადგურებელი და გაფრინდა ინგლისში.

ბრიტანელების მიერ ბაქოს ნავთობის საბალოებზე თავდასხმის ხანგრძლივი და გულდასმითი მზადების გათვალისწინებით, მეტად საინტერესო იქნებოდა გაცნობოლით ერთ დოკუმენტს. ღირს, რომ ყურადღება მივაქციოთ საბჭოთა სამხედრო დაზვერვის ამ ცნობის თარიღს: 1941 წლის 20 ივნისი. ომამდე ორი დღით ადრე სტალინი ლებულობს ცნობას, რომ დიდი ბრიტანეთი ემზადება მიაყენოს დარტყმა ნავთობის ველებს ბაქოში. ამ დროს დეპუტის ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ საკითხი შეეხება არა გერმანიის მიერ მათს ხელში ჩაგდებას, არამედ გერმანელების მიერ სსრ კავშირის ნავთობის შექმნას. სიტუაცია მეტად არეულ-დარეული იყო. და თუ ვინ იქნებოდა ჩვენი არმიის მონაწილემდეგ, სრულიად გაურკვეველი იყო ბოლომდე. არ შეიძლება გამოვრიცხოთ აგრესიის ვარიანტი ანგლოსაქსების მხრიდან, ჰიტლერს რომ არ მოეწყო თავისი თვითმკვლელური თავდასხმა.

„სრულიად საიდუმლო“ სწოვა ლონდონიდან

1941. 20.VI.

... ინგლისელები აძლიერებენ მზადებას ბაქოს დაბომბვისათვის. 16 ივნისს ჩერჩილის თავმჯდომარეობით გაიმართა იმპერიის თავდაცვის კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელზეც განიხილებოდა საკითხი გერმანიის მიერ ნავთობის მიღების შეწყვეტის საშუალებების შესახებ. თავის გამოსვლაში ჩერჩილი დაბეჯითებით მოითხოვდა ბაქოს დაბომბვისათვის ყველა მოსაზრებელი საშუაოს უსწრაფეს დამთავრებას, რაც, —“ ის აზრით არის მისი ერთ-ერთი „იდეა ფიქსი“ ამჟამად. ამ სხდომაზე ჩერჩილი ბივერბრუკს უყვითხა მისი აზრის შესახებ ამ საკითხზე. ბივერბრუკმა მიკვირულ-მოკიბულაობით უპასუხა, რომ „კავკასიის სქემა მას ძალიან შორეულად ეჩვენება“. —“— თან საუბარი მთელი ეს სქემა დაახასიათა, როგორც „სრულიად იდიოტური“, ვინაიდან გაცილებით იოლია, მარტივი და მიზანშეწონილი ნავთობის მარაგების სინთეზური ნავთობის ქარხნებისა და სხვათა დაბომბვა, რომლებიც ინგლისის ზღურბლთან არიან, ესე იგი გერმანიაში. —“—ის წინადადებით, კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მოაწყო ჰელზენვირხენის მეტად დიდი დაბომბვა, მაგრამ, ჩერჩილის დაჟინებული მოთხოვნით, ინდოეთის არმიის მთავარსარდალს იმავე დღეს შტატების უფროსებმა გაუგზავნეს შემდეგი დეპეშა №130. „საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობათა განვითარების მსვლელობა ჩვენთვის შეიძლება გახდეს მეტად მომგებიანი, უნდა ვიყოთ მზად, მოვანყოთ ბაქოს ნავთობსაბალოების დაბომბვა მინიმალური შეყოვნებით. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ, მისცეთ მითითება ჯარების სარდალს ერაყში ავიაციის სარდალთან ერთად ერაყსა და ახლო აღმოსავლეთში ავიაციის სარდალთან თანამშრომლობით ყველა ადმინისტრაციული მომზადება ამ ოპერაციისთვის, ყველა საჭირო გაფართოების ჩართვით დასაჯდომი მოედნების გასაუმჯობესებლად, შედეგების საგარაუდო მოცულობა გააუტოლდება ინტენსიურ ოპერაციებს დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში...“

19/VI.41. წ. №525. ვადიმი

თარგმანი
ზურაბ ლომიძე
(ბაბრქაშაძე იმწება)



სუპერინტენსის აღიარებით პაჭკოების პრაქტიკა

ბაზელენიანი ამერიკული გამოცემა „The Diplomat“-ის მიერ გამოქვეყნებული სტატია ეხება საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ პოლიტიკურ ინტრიგებს, დიპლომატიურ თამაშებს, რომლებშიც ზოგიერთი სახელმწიფო ჩართული, მაგალითად, ამა თუ იმ ახლად „გაჩენილი“ ქვეყნის სუვერენიტეტის აღიარების საკითხში. პუბლიკაციაში აღნიშნულია „დამოუკიდებლობის აღიარებით ვაჭრობის“ ფაქტები, მოცემულია ამგვარი პოლიტიკის მიზეზები და შედეგები (ავტორი – გრანტ უაიტი). საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გადავარობს სტატიის შინაარსს:



დი დეგბა. როგორც ჩანს, კუნძულმა თავისი ძალები ვერ გათვალა და დიპლომატიურ თამაშებში გადააჭარბა: ამას წინათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის დღეებში, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა საბიუჯეტო კანონს, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს რეგიონები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი „რუსეთის მიერაა ოკუპირებული. აქედან გამომდინარე, ამერიკის მთავრობას და სამთავრობო ფონდებს ეკრძალებათ დახმარების განევა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებშიც აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ.

აღნიშნული აქტი ძირითადად ნიკარაგუსა და ვენესუელის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ ნეგატიური გავლენას მოახდენს ნაურუზეც – მას ფინანსური ინექციები შეუწყდება. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვნად აფინანსებს მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს, გაეროს ბავშვთა ფონდს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, რომლებიც, თავის მხრივ, ნაურუს სხვადასხვა დარგებს ფულით ეხმარებიან. ვაშინგტონს შესაძლებლობა აქვს, ზენოლა მოახდინოს აზიის განვითარების ბანკზეც, რომელიც ნაურუში ბევრ პროექტს ასორციელებს. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ნაურუ არჩევანის წინაშე დგება: ან დიპლომატიური ურთიერთობა უნდა განწყვიტოს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთთან, მათი დამოუკიდებლობის აღიარების აქტი უქმნოს, ან აშშ-სგან დახმარების მიღება შეწყდება და რუსეთის იმედზე დარჩება. აშკარაა, რომ ძველი სტატუს-კვოს შენარჩუნების შემთხვევაში, ნაურუს საერთაშორისო იზოლაცია ემუქრება. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ კუნძულმა რუსეთთან ინტეგრირება გააძლიეროს.

ავსტრალია, რომელსაც, რასაკვირველია, ნაურუზე რუსეთის გავლენის შეწყვეტა სურს, ალბათ, იმედოვნებს, რომ ამერიკა ოთხივე ქვეყანას და მათ შორის ნაურუსაც იძულებულს გახდის, უარი თქვას აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე. თუ ეს ტაქტიკა გაამართლებს და წარმატებული იქნება, მაშინ გარკვეული დროის შემდეგ ნაურუსა და მისი მსგავსი ქვეყნების დიპლომატიური თამაშები დასრულდება.

„დამოუკიდებლობის აღიარების“ თამაშში წყნარი ოკეანის ჯუჯა სახელმწიფოები მრავალი ათწლეული წლის განმავლობაში არიან ჩართულნი. აბა, რა ექნათ? მოსახლეობის მცირე რაოდენობამ, ბუნებრივი რესურსების სიმცირემ, გეოგრაფიული უპირატესობის არქონამ კუნძულებს საერთაშორისო ურთიერთობებში სუვერენიტეტის აღიარებით ვაჭრობა აიძულა. ეს იყო ის ბერკეტი, რომელსაც ისინი სხვა სახელმწიფოების მიმართ იყენებდნენ, მათთვის სასურველი ქვეყნის აღიარების საკითხში, რის შედეგადაც ჯუჯა-სახელმწიფოები მათგან გარკვეულ (მატერიალურ თუ ფინანსურ) დახმარებას იღებდნენ.

ამგვარი თამაშის ძირითადი მიზანია ჩინეთი. 1970-იან წლებიდან მოყოლებული ორი ჩინეთი არსებობს – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (დედაქალაქი – პეკინი) და ჩინეთის რესპუბლიკა – ტაივანი (დედაქალაქი ტაიპეი). ორივე მათგანი აცხადებდა, რომ მხოლოდ ის წარმოადგენდა ჭეშმარიტ ჩინეთს და ცდილობდნენ აღიარების მიღწევას საერთაშორისო არენაზე. წყნარი ოკეანის სახელმწიფოები ამ სიტუაციას სათავისოდ იყენებდნენ და საკმაოდ დინამიურადც სარგებლობდნენ. ასეთი ვითარება დღემდე გრძელდება: კირიბატი, სოლომონის კუნძულები, მარშალის კუნძულები, პალაუ, ტუვალუ კანონიერ, ჭეშმარიტ ჩინურ სახელმწიფოდ მხოლოდ ტაივანს აღიარებენ, რომელიც, თავის მხრივ, ფინანსურად ეხმარება ამლიარებლებს, „საჩუქრის სახით“. ტაივანის სუვერენიტეტის აღიარებლებს გულში

იმედი აქვთ, რომ ტაიბეის დიპლომატიური კონკურენტი – პეკინი მათ მეტ ფულს მისცემთ და ამიტომ, შეთავაზების შემთხვევაში, მზად არიან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხარეს დადგნენ.

ამას წინათ ჩინეთმა (პეკინმა) და ტაივანმა (ტაიბემ) საერთაშორისო აღიარების ლობიერების საკითხში დროებითი ზავი დადეს. მათი დაზავება ბოლო წლებში მომხდარმა გახმაურებულმა დიპლომატიურმა ფარსმა გამოიწვია: 1999 წელს პაპუა-ახალმა გვინეამ ტაივანის დამოუკიდებლობა აღიარა, მისგან 30 მილიონი დოლარი მიიღო, მაგრამ რადგანაც ვერაინ გაარკვია, თუ სად გაქრა ფული, 2008 წელს პაპუასების საგარეო საქმეთა მინისტრი იძულებული გახდა, გადამდგარიყო. 2016 წელს პეკინმა დიპლომატიურ-ფინანსური შეტევა განახორციელა და თავის მხარეზე გადაიბირა ორი აფრიკული სახელმწიფო – გამბია და სან-ტომე და პრინსიპი, რომლებიც ადრე ტაივანს აღიარებდნენ.

ორ ჩინეთთან დაკავშირებული დიპლომატიური თამაშების გარდა, ბოლო ათწლეულში წყნარი ოკეანის სახელმწიფოებს ახალი მსგავსი შანსი გაუჩნდათ. 2008 წლის აგვისტოში მომხდარი რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად ორმა სეპარატისტულმა რეგიონმა – აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, საქართველო მათ თავის ტერიტორიებად თვლის, რომლებიც რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მხარს რუსეთი უჭერს: მოსკოვმა ორივე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მათ ლეგიტიმაციას საერთაშორისო არენაზეც ცდილობს. რუსეთთან მჭიდრო კავშირების წყალობით ვენესუელამ და ნიკარაგუამ სოხუმში და ცხინვალში 2008 წლის ომის დასრულების შემდეგ ცოტა ხანში აღიარეს, მათ 2009 წლის ბოლოს ნაურუს შეუერთდა, რომელსაც რუსეთმა 9 მილიონი დოლარი აჩუქა ნავსადგურის მოდერნიზებისათვის.

დაინახეს რა ხელის მოთხოვნის ახალი შესაძლებლობა, ვანუატუმ და ტუვალუმ ნაურუს მიბაძეს და 2011 წელს მათ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს, თუმცა ალიარება დიდხანს არ გაგრძელდა: ვანუატუმ 2013 წელს, ტუვალუმ კი 2014 წელს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება გააუქმეს და დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან დაამყარეს.

ნაურუ ჯერჯერობით თავის პოზიციაზე სტაბილურად დგას და იმედი აქვს, რომ რუსეთი ფინანსურად კიდევ დაეხმარება. სხვათა შორის, ნაურუ რუსული მაფიის „შავი ფულის“ „გათეთრების“ ცენტრად ითვლება, რაც ავსტრალიის ბანკების აღშფოთებას იწვევს. ალბათ, ნაურუ ამ გარემოებებზეც სარგებლობს, რომ რუსეთის მეშვეობით თავი დაიცავს და ავსტრალიასთან ერთგვარი ბალანსი დაამყაროს. მაგრამ ბოლო მოვლენები მოწმობს, რომ ნაურუსათვის ცუდი პერიოდ

პრაქტიკულად და ნაწილობრივ აღიარებულთა „დსო“

(მესამე გვერდიდან)

როგორც პარტია „მამულის“ თავმჯდომარე ვიანესლავ გობოზოვი ირწმუნება, ოსურ საზოგადოებაში ბიბლიოგის სანქცირებას, ერთი მხრივ, იუმორით მიუდგნენ, ხოლო მეორე მხრივ აღიქვეს, როგორც ოფიციალური კიევის მიერ ერთგვარი აღიარება იმ სამშუაოსი, რომელიც „პრეზიდენტმა“ დონბასში გასანია:

„თუნდაც ერთგვარი ნეგატიური ელფერით, მაგრამ ეს სამხრეთ ოსეთის არსებობის ერთგვარი აღიარებაა უკრაინის მხრიდან. ესე იგი, ის სამოკავშირეო ურთიერთობები, რომლებსაც სამხრეთ ოსეთი დონბასის რესპუბლიკებთან ამყარებს, მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის, არამედ კიევის ხელისუფლებისთვისაც, რაკი ესოდენ დიდ გაღიზიანებას იწვევს. ვფიქრობ, ასეთი რეაქცია უკეთესია, ვიდრე რეაქციის არარსებობა“.

თავად ანატოლი ბიბლიოგმა ეს ამბავი დემონსტრაციული ირონიით აღიქვა: „ახალ სასანქციო სიაში ბევრი ღირსეული

ადამიანია და ჩემთვის სასიამოვნოც კია მათ რიგებში ყოფნა“.

ამასთან, პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს სანქციები პრობლემებს არ შეუქმნის: „უკრაინაში არანაირი საქმე არ მაქვს, არ ვაპირებ ამ ქვეყანაში ჩასვლას, ამდენად, არ მესმის, რა უნდა დამაკლოს სანქციებმაო?“.

და მართლაც, უკრაინული სანქციები არ არის დაკავშირებული გადაადგილების თავისუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვასთან. ხოლო რაიმე სხვა, როგორც ჩანს, ანატოლი ბიბლიოგს არ ემუქრება – აქტივობა დონბასში ყოველთვის როდი მოასწავებს ამერიკულ და ევროპულ სანქციებს.

ბევრად უფრო ხისტი ვითარება ყირიმის ირგვლივ. აშშ-ის ხელისუფლებამ სანქციები დაანება რუსული კომპანიების მიმართ, რომლებიც ყირიმში საქმიანობენ. ევროკავშირმა სავიზო და ფინანსური სანქციები შემოიღო 37 ორგანიზაციისა და 151 ფიზიკური პირის, ძირითადად პოლიტიკოსებისა და ჩინოსნების მიმართ, რომლებ

იც, ევროპელების შეფასებით, საკუთარი ქმედებებით ძირს უთხრიან უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. გარდა ამისა, ევროკავშირმა ვიზების გაცემა აკრძალა ყირიმის მაცხოვრებლებზე ევროპული სახელმწიფოების საკონსულო განყოფილებებში, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე ოპერირებენ.

მაგრამ ეს სანქციები არ ვრცელდებოდა დონბასის მაცხოვრებლებსა და პოლიტიკოსებზე, რომლებიც იქ აქტიურ საქმიანობას ეწევიან. ექსპერტების თქმით, უვიზო რეჟიმის შემოღებამდე ევროპული ქვეყნების კიევი განთავსებული საკონსულოები უპრობლემოდ გასცემდნენ დონეცკის მაცხოვრებლებზე ვიზებს და იღებდნენ მათგან დოკუმენტებს, რომლებიც „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ ორგანიზაციების ბეჭდებით იყო დამონმებული.

სულ გაფართოებულ სიაში 1228 ფიზიკური და 468 იურიდიული პირი შეყვანეს. ანატოლი ბიბლიოვი ფიზიკურ პირთა ჩამონათვალში მე-16 ნომრად

ფიგურირებს – არა როგორც „პრეზიდენტი“, არამედ ძველი თანამდებობით, „პარლამენტის თავმჯდომარედ“, წოდებით გენერალ-ლეიტენანტი. აღსანიშნავია, რომ მისი სახელი არა მარტო რუსულად და ურაინულად, არამედ ოსურ ენაზეც არის მითითებული: „Бибылы Ильичы Фырт Анатолий“.

დასასრულს – ერთი საინტერესო დეტალი: აფხაზეთმა, ე.წ. სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, დონეცკის სახალხო რესპუბლიკის აღიარებისგან თავი შეიკავა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მან დისტანცირება მოახდინა ყველაფრისგან, რამაც შეიძლება, სამომავლოდ ცუდი ასახვა ჰქოვოს დიდ მსოფლიოში მის რეპუტაციაზე.

ალექსანდრე სკაკოვი ამ შთაბეჭდილებას სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევს:

„გასაგებია, რომ აფხაზეთი სხვა ქვეყნების მიერ აღიარებასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სამხრეთ ოსეთი და მით უფრო დონეცკი და ლუგანსკი. ვფიქრობ, სოსუში ამას ითვალისწინებენ“.

ვისი მიდგომა გაამართლებს, ცხინვალისა თუ სოსუმის – დრო გვიჩვენებს.

საინფორმაციო სააგენტო „აძვინტი“.
მასალა მომზადებულია პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებით“ ფარგლებში, ფრედის ნაუმანის ფონდის მხარდაჭერით

მანჩესტერული პარკის პირველი ფოტო

როგორც ირკვევა, 22 წლის სალმან აბედი ტერაქტამდე რამდენიმე დღით ადრე ლიბიიდან დაბრუნდა. აბედი მანჩესტერის მკვიდრი იყო. მისი მშობლები ლიბიიდან კადაფის რეჟიმს გაექცნენ და ბრიტანეთში თავშესაფარი მიიღეს. პოლიცია იმის დადგენას ცდილობს, გაიარა თუ არა თვითმკვლელობა ტერორისტმა ლიბიაში მოზადედა მასუბათური ტერორისტული აქტი მანჩესტერ-არენაზე 22 მაისის საღამოს განხორციელდა. აფეთქებას 22 ადამიანი ემსხვერპლა, 59 კი დაშავდა.



ბრიტანელთა უსაფრთხოებას 3800 სამხედრო მოსახლეს უკანადაა დაბრუნებული

ამის შესახებ შს მინისტრმა ემბერ რადმა განაცხადა. მისივე თქმით, ოპერაცია ტემპერერის პირველი ფაზის ფარგლებში სამხედროები ქუჩებში იმორიგებებენ. ისინი პოლიციელებს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაში დაესმარებიან. მანჩესტერში 22 მაისს მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ ბრიტანეთში ტერორისტული საფრთხის უმაღლესი, კრიტიკული დონე გამოცხადდა.



© ო, ანავ ჩაო!

დეკონსტრუქციის უკუქმედება, ჯიქანს სოციალურ კონსტრუქციას...

დიდი ბრიტანეთის საინფორმაციო კომპანიის „კულტურული თრეზორის“ ლანის სილინჯერის ხელმძღვანელი გარდაცემულ სტატიაში „ათი უძველესი ენა, რომლებზეც ჯერ კიდევ ლაპარაკობენ მსოფლიოში“, კერძოდ, ნათქვამია, რომ ქართული — ესაა ერთადერთი კავკასიური ენა, რომელსაც უძველესი ლიტერატურული ისტორია გააჩნია.

ლონდონური „კულტურული თრეზორის“ მრავალპროფილიანი საერთაშორისო საინფორმაციო ინტერნეტ-კომპანიაა, რომელიც კონტენტებს — მოგზაურობების, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, არქიტექტურის, ჯანმრთელობის, სპორტის, კვების, მოდისა და ა.შ. სფეროებში ქმნის. კომპანიის სპეციალისტთა ბირთვი და წამყვანი შემოქმედებითი ძალა მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა ქვეყნის უმთავრეს ქალაქებში საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს რედაქტორთა და კორექტორების ფართო ქსელია.

რაც შეეხება თავად ლანის სილინჯერის სტატიაში მოყვანილ ნუსხას, მსოფლიოს უძველესი და ცოცხალი ენების ჩამონათვალში არის ქართული, ივრითი, ტამილური, ლიტვური, სპარსული, ისლანდიური, მაკედონური, ბასკური, ფინური და ირლანდიური.



კავკასიის თაობაზე ავტორი აღნიშნავს, რომ ესაა ნამდვილი განძი ლინგვისტიკისთვის: „სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის — ძირითადი ენები სამი სრულიად განსხვავებული ენობრივი ოჯახიდან — ქართველურიდან, თურქულიდან, ინდოევროპულიდან არიან წარმომავალი. ქართული ყველაზე დიდია ქართველურ ჯგუფში და ერთადერთი კავკასიური ენაა, რომელსაც უძველესი ლიტერატურული ტრადიცია აქვს.“

მასალაში ასევე აღნიშნულია, რომ ძალიან ძნელია მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რომელი ენაა ყველაზე ძველი. ამის მიზეზი კი, უწინარესად ისაა, რომ ენების ევოლუცია, გარკვეულწილად, ბიოლოგიურ ევოლუციას ჰგავს და ყველაზე უკანა საფეხიდან დაიწყო. ამის მიუხედავად, ჩამოთვლილი ათივე ენიდან თითოეულს რაღაც განსაკუთრებული სიძველე აქვს, რაც მას სხვებისგან გამოარჩევს.“

საგულისხმოა, რომ ლონდონურმა ინტერნეტ-გამოცემამ უკვე 50 ათასზე მეტი სტატია გამოაქვეყნა, რომლებსაც ყოველთვის უნდა ჰქონდეს მკვლევარული კითხვები, კიდევ მილიონი კაცი კი მათ სოციალურ ქსელებში ეცნობა.

ლალი ხუნდაძე

ერთად გადავარჩინოთ ქართული ქაგლები

სამართლებრივი და თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქაგლების რეაბილიტაციისთვის ერთობლივი საშუალო ჯგუფი შეიქმნება


23 მაისს მთავრობის ადმინისტრაციაში ხელი მოეწერა საქართველოსა და თურქეთს შორის 2017-2021 წლებში კულტურის სფეროში თანამშრომლობის პროგრამას. მხარეები ვალდებული იქნებიან, ითანამშრომლონ თეატრის, კინოს, ლიტერატურის, კულტურული მემკვიდრეობისა და სხვა სტრატეგიული მიმართულებებით.

დოკუმენტის მიხედვით, მხარეები განახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას, ასევე უზრუნველყოფენ კომპეტენტური ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობასა და ერთობლივი საშუალო ჯგუფების შექმნას.

საქართველოსა და თურქეთს შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობა რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

პირველი ეტაპი გულისხმობს ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შერჩევას, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი რღვევა ან ჩამოშლა და უზრუნველყოფილ იქნას მათი ყოველმხრივი სტაბილურობა; ამ ძეგლების შეფასება ICOMOS-ის (ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო) მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიური პრინციპებისა და ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად უნდა მოხდეს.

მეორე ეტაპი ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე იმ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შერჩევას ითვალისწინებს, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას მათი სა-



კონსერვაციო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. უნდა განისაზღვროს გამოსასწორებელი ღონისძიებები იმ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებაში, რომელთა რეაბილიტაციაც განხორციელდება ამ პროგრამის ხელმძღვანელმა და მათზე ჩატარებულ სამუშაოებთან მიმართებაში მხარეებს გააჩნიათ მეთოდური ხასიათის შენიშვნები და რეკომენდაციები;

მესამე ეტაპი მიხედვით კი, უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია, მხარეთა კომპეტენციის ფარგლებში.

კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით თანამშრომლობის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად, მხარეები დაამტკიცებენ ერთობლივ სამოქმედო გეგმას;

მხარეები, ასევე იღებენ ვალდებულებას, თავიანთ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხელი შეუწყონ მეორე მხარის წარმომადგენლებს, თავიანთ ეროვნულ და უწყებრივ არქივებში დაცული ინფორმაციის (ფოტოსურათები, პროექტები, გრაფიკები, რუკები და სხვ.) და დოკუმენტების მოძიებასა და ასლების გადაცემაში.

ფიზიკური რეაბილიტაციის დაწყებამდე, მხარეები წინასწარ აუცილებლად განახორციელებენ ძეგლების კომპლექსურ (არქეოლოგიური, გეოლოგიური, სახელოვნებათმცოდნეო და კონსტრუქციული) კვლევებს, ICOMOS-ის (ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო) მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიური პრინციპებისა და სფეროში მოქმედი საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. ორივე მხარე ვალდებული იქნება, აღნიშნული კვლევების პროცესში, უზრუნველყონ მეორე მხარის შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობა.

სამარშრუტო მანქანები კორეიდან

კორეის მთავრობამ საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობას 5 სამარშრუტო მანქანა საჩუქრად გადასცა. გადაცემის ოფიციალური ცერემონია „პიუნდაის“ ცენტრში გაიმართა.

ოფიციალურ ღონისძიებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია და კორეის რესპუბლიკის საელჩოს თბილისის ოფისის საქმეთა დროებითი რწმუნებული კიმ ინ ჰვანი დაესწრნენ.

„წელს საქართველო და კორეა აღნიშნავენ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25-ე წლისთავს და სიმბოლურია, რომ დღევანდელი ღონისძიება ამ თარიღსაც ეძღვნება. ღონისძიება იმართება კორეის მთავრობის და საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ტექნიკურ დახმარებას, რომლის ფარგლებშიც საქართველოს გადმოეცა 5 მინი ავტობუსი. მანქანების საერთო ღირებულება 200 000 ამერიკულ დოლარამდეა“, — აღნიშნა დავით ჯალაღანიამ.

მინისტრის მოადგილის განცხადებით საჩუქარი ცენტრალურ მთავრობაში, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გადაიხადება.



სოტნი გამსახურდია სააპელაციო სასამართლომ გაამართლა

სოტნი გამსახურდიას მიმართ სააპელაციო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. ამის შესახებ ინფორმაციას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ავრცელებს.

საქმე ეხება პატიმრობის პერიოდში ქრთამის მიცემის ბრალდებას, რაზეც გამსახურდიას 2011 წელს სასჯელი დაემატა და სასამართლომ კიდევ 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

სტრასბურგის სასამართლომ მისი სარჩელი დასაშვებად ცნო და განხილვის პერიოდში, საქართველომ გამსახურდიასთან მეგობრული მორიგების სურვილი გამოთქვა.

ევროსასამართლოს განჩინებით, მორიგების შემდეგ, საქართველოს ცოტნე გამსახურდიას ფულადი კომპენსირება დაევა. პარალელურად, პროკურატურამ საქმის ხელახალი გამოძიება დაიწყო. ევროსასამართლოს განჩინება კი, ახალ გარემოებას დაერთო საჩივარს, რომელიც გამსახურდიას ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოში შეიტანეს.

ძიების შემდეგ, საქმის ხელახალი გადახედვა სააპელაციოში პროკურატურამაც მოითხოვა. საქმეები გაერთიანდა და საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.


როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ გამსახურდიას ადვოკატმა მერაბ ჩიქოვანმა განუცხადა, დადგინდა, რომ პატიმრობის პერიოდში ცოტნე გამსახურდიას მიმართ ციხის თანამშრომლებმა დანაშაულის პროვოცირება მოახდინეს.



მორიგი მატჩი - ნიკოლას კიკერი

ლიონის ტურნირის 1/4-ფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილი მსოფლიო რეიტინგის 94-ე ნომერს, გერმანელ ნიკოლას კიკერს შეხვდება, რომელმაც მერვედფინალში მოულოდნელად ავსტრალიელი ნიკ კირგიოსი 2:6, 6:4, 6:2 დაამარცხა.

ნიკა და ნიკოლასი აქამდე ერთმანეთს არ შეხვედრიან. მატჩი დღეს თბილისის დროით 15 საათზე ჩანიშნული.



შეგახსენებთ, რომ ნიკამ ლიონის ტურნირზე აქამდე ბორნა ჩოორიჩი და ანდრეა სეპი დაამარცხა.

კობა კობახიძე

„რეალი“ მაინც სხვაა



საპარტიშელის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი თორნიკე შენგელია მადრიდის „რეალი“ ითამაშებს, აღნიშნულ ინფორმაციას eurohoops.net-ი ავრცელებს. წყაროს ცნობით, მხარეები 2-წლიან კონტრაქტზე შეთანხმდნენ და ხელშეკრულება ოფიციალურად ზაფხულში გაფორმდება.

გაერცელებული ინფორმაციით, „რეალი“ შენგელიას ანდრეს ნოჩიონის შემცვლელად მოიაზრებს, რომელიც კარიერას ასრულებს.

შენგელია „ბრუკლინში“, „ჩიკაგოსა“ და ბოლოს „ბასკონიაში“ თამაშობდა. წლებადღეს სეზონში თოჯი ყველა ტურნირზე ერთად საშუალოდ ერთ შეხვედრაში 10.4 ქულას, 4.1 მოხსნასა და 1.4 პასს აკეთებდა.

დარჩა ბოლო გასროლა

მუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალური სერიის მეოთხე შეხვედრა გაიმართა, რომელშიც „კლივლენდმა“ საკუთარ დარბაზში „ბოსტონი“ 112:99 დაამარცხა.

პირველი ტაიმის შემდეგ „კელტები“ 10 ქულას იგებდნენ. გარდაამტეხი მესამე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც „კლივლენდმა“ 17 ქულით მოიგო. მატჩში ყველაზე მეტი - 42 ქულა კაირი ირვინგმა ჩააგდო, რაც გამთამაშებლისთვის პლეი-ოფში სარეკორდო მაჩვენებელია. ლებრონ ჯეიმსმა 34 ქულა მიითვალა, კევინ ლავმა - 17, „ბოსტონში“ კი 19 ქულით ბრედლი გამოირჩა.

სერიას „კლივლენდი“ 3:1 იგებს. მეხუთე შეხვედრა ბოსტონში 26 მაისს თბილისის დროით დილის 04:30 საათზე დაიწყება.



გამეორება სოფლის დედა

შპსი გაუწყეთ, რომ საკალათბურთო ევროლიგის (ყოფილი ჩემპიონთა თასის გათამაშების) გამარჯვებული პირველად გახდება თურქული კლუბი, რომელმაც ბრწყინვალედ გამოიყენა საკუთარი დარბაზის უპირატესობა და სტამბოლში გამართული ოთხთა ფინალი მანამდე არნახული ტრიუმფით დააგვირგვინა: „ფენერბახჩე“-„ოლიმპიაკოსი“ 80:64.

აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა მართლაც ლეგენდარული თავკაცი ჟელკო ობრადოვიჩი წარმატებით განაგრძობს საკუთარი სარეკორდო პირადი მიღწევის გაუმჯობესებას - მან უკვე მეხუთე გუნდს მოაგებინა ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირი და კოლეგებს ახალი თამაშა დაუნესა - 9 ტიტული!

ბუნებრივია, სეზონის მიწურულს კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი განვლილ ბატალიებს და გულშემატკივართათვის არაერთ საინტერესო ფაქტს მივაკვლიეთ.

უპირველესად, ბევრისათვის მოულოდნელად, ქვეყნებს შორის გამორჩეული მონაგრით იტალია ლიდერობს, ხოლო რაც შეეხება ცალკეულ გრანდებს, ფეხბურთის მსგავსად, წამყვან პოზიციას „რეალი“ ინარჩუნებს.

აქამდე ელიტამ 61-ჯერ გამოავლინა სეზონის საუკეთესო გუნდი და საამაყოა, რომ უკვე შორეულ 1962 წელს ოლიმპზე სწორუპოვარი ოთარ ქორქიას განვრთნილი თბილისის „დინამო“ ავიდა, რომელმაც დასკვნით რაუნდში თვით ამერიკელი პროფესიონალებით გაძლიერებული „სამეფო კლუბი“ დააჩოქა - 90:83. 29 ივნისს ამ ისტორიული მოვლენიდან 55 წელი სრულდება და, ვიმედოვნებთ, მაშინ-

დელი „ძლევაი საკვირველი“ ღირსეულად დაფასდება თანამედროვეთა მიერ. სხვათა შორის, ჩვენმა თანამემამულეებმა უფრო ადრე - 1960 წელსაც ითამაშეს ფინალში, მაგრამ ორივე მატჩი წააგეს რიგის სკასთან.

რადგან ლატვიელები ვახსენეთ, დავძენთ, რომ სწორედ მათ შესარულეს სასტარტო პეტი-ორიტი. დიხა, ბალტიისპირელებმა ზედიზედ სამჯერ მოპოვებული ლაურეატობით დაუდეს სათავე იმ ტურნირს, რომელიც სამართლიანად ითვლება სამაგალითოდ.

როცა ჩემპიონთა გალერეას გადახედავთ, ალბათ, ყურადღებას გამახვილებთ, რომ ჩვენ შეგებულად დავტოვეთ უცვლელად უკვე დაშლილი სახელმწიფოების - საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის წარმომადგენელთა მიერ დამსახურებულ ჯილდოთა კუთვნილების საკითხი. რას ვიზამთ, ასეთი იყო იმდროინდელი პოლიტიკური რეალობა.

- ევროლიგის მატინა
იტალია - 13 („ვარეზე“ - 5, „მილანი“ - 3, „ბოლონია“ - 2, „რომა“ - 1).
ესპანეთი - 12 („რეალი“ - 9, „ბარსელონა“ - 2, „სევერუდი“ - 1).
საბჭოთა კავშირი - 12 (ცსკა - 7, რიგის სკა - 3, თბილისის „დინამო“ - 1, „უფალგირი“ - 1).
საბერძნეთი - 9 („პანათინაიკოსი“ - 6, „ოლიმპიაკოსი“ - 3).
იუგოსლავია - 7 („სპლიტი“ - 3, „ციბოინა“ - 2, „ბოსნა“ - 1, „პარტიზანი“ - 1).
ისრაელი - 6 („მაკაბი“ - 6).
საფრანგეთი - 1 („ლიმოჟი“ - 1).
თურქეთი - 1 („ფენერბახჩე“ - 1).

ვიტალი ჯაფარიძე

„ბარსელონა“ - ახალი გამორჩევა

მრწამსტო ვალვერდე „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელის პოსტს ძალიან მიუახლოვდა. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა და ესპანელმა სპეციალისტმა ბილბაოს „ატლეტიკის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.

ვალვერდეს სახელს აქტიურად უკავშირებენ „ბარსას“ და ზემოხსენებული ინფორმაციის გაოფიციალურების შემდეგ ესპანური მედია დარწმუნებულია, რომ იგი „ბლაუგრანას“ ჩაიბარებს. „ბარსელონას“ ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა 29 მაისს გახდება ცნობილი.

ერნესტო ვალვერდესთვის კატალონია ნაცნობი ადგილია, რადგან 1988-1990 წლებში იგი სწორედ „ბარსელონაში“ თამაშობდა, სადაც კობა დელ რეი და თა-სების თასი მოიგო. რაც შეეხება მის ბასკურ კარიერას, იგი ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას დაიწყო და „ბილბაოში“ 1990-1996 წლებში გამოდიოდა, ხოლო მთავარი მწვრთნელის პოსტი 2013 წელს დაიკავა.



„ბილბაოს“ ერნესტო ვალვერდემ ესპანეთის სამეფო თასი და სუპერ-თასი მოაგებინა, ასევე ათამაშა ევროპა ლიგასა და ჩემპიონთა ლიგაზე.

შეპარ კიმა: „იუვე“ - ლიგას, გუფონი კი მძროს გურთს იმსახურებს

პატალმონის „ბარსელონას“ მცველი ჟერარ პიკე ჩემპიონთა ლიგის ფინალში ტურინის „იუვენტუსს“ ქონაგობს. გამოცდილი მცველის განცხადებით, იტალიურ გუნდს სავსებით შეუძლია „რეალის“ დამარცხება.

გარდა ამისა, პიკე აღნიშნავს, რომ გაუხარდება, თუ წლის ბოლოს ოქროს ბურთს ჯანლუიჯი ბუფონი მოიგებს:

„მიმდინარე წელს ლიონელ მესი დაეუფლება ოქროს ბურთს, როგორც საუკეთესო ბომბარდირი და შანსი აქვს, ოქროს ბურთს ერგოს, მაგრამ თუ ტიტულებს გადავხედავთ, ამას ჯანლუიჯი ბუფონი უფრო იმსახურებს. მან უკვე მოიგო იტალიის ჩემპიონატი და თასი, ასეთივე შანსი აქვს ჩემპიონთა ლიგაშიც. ბუფონი ნამდვილად ღირსია, რომ ჩემპიონთა ლიგა და ოქროს ბურთი დაიმსახუროს თავისი კარიერის გამო. კარგი იქნება, თუ იგი გახდება პირველი მეკარე ლეე



იაშინის შემდეგ, ვინც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს მიიღებს.

ფინალი? - ეს იქნება ძალიან მჭიდრო თამაში ორი დიდი გუნდის შესრულებით. „იუვენტუსმა“ ბოლო წლებში შესანიშნავი შედეგები აჩვენა და ისეთი ფეხბურთელები ჰყავს, როგორც ბუფონია. ასევე, დანი ალვესი - მას ჩემპიონთა ლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება გააჩნია. მინდა, რომ ჩემპიონთა ლიგა „იუვემ“ მოიგოს.

„რეალის“ დამარცხება შესაძლებელია, თუ მას ბურთის კონტროლის საშუალებას არ მისცემ და შეაჩერებ მის კონტრშეტევებს“, - თქვა პიკემ.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი „იუვენტუსსა“ და „რეალს“ შორის 3 ივნისს კარდიფში გაიმართება და თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება.

მუვიდობით, ფარინა

ახლო წარსულში ცნობილი იტალიელი მსაჯი სტეფანო ფარინა მოულოდნელად 54 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი აპენინებზე 2000-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთ გამორჩეულ არბიტრად მიჩნეოდა, 2010 წლიდან მოყოლებული კი იტალიის სამსაჯო კომიტეტში მონაწილე პოზიციაზე მუშაობდა.

სტეფანო ფარინამ იტალიის სერია A-ში პირველად 1995 წლის 22 იანვარს „ფოჯასა“ და „რეჯინას“ შეხვედრა განსაჯა, ხოლო იქედან მოყოლებული 2009 წლამდე აპენინელთა ელიტურ ლიგაში 236 თამაში იმსაჯა, სერია B-ში კი - 117 მატჩი.

2001-2007 წლებში იგი უეფას არბიტრიც გახლდათ და 2006 წელს უეფას სუპერთასის შეხვედრის მომსახურება ანდეს „ბარსელონასა“ და „სევილიას“ შორის. აღსანიშნავია, რომ ფარინა ერთ-ერთ იმ იშვიათთაგანი მსაჯი იყო, რომლის სახელიც 2006 წლის ცნობილი სკანდალის „კალჩოპო-ლის“ სახელს არ უკავშირდება.



იტალიის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, სერია A-ს ბოლო ტურის მატჩები სტეფანო ფარინას პატივსაცემად წუთიერი დუმილით დაიწყება.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

რა ჩააქრობს ალს?!



ბეშრი მითქმა-მოთქმისა და ქორების დახვავების შემდეგ, როგორც იქნა, ბრაზილიელი მოდელი შალანა სანტანა გამოტყდა, რომ თანამემამულე ფეხბურთელთან - ნეიმართან მცირეხანი რომანი ნამდვილად ჰქონდა, თუმცა, საქმე არ გასერიოზულებულა და მხოლოდ ერთ-ორი სექსით შემოიფარგლა.

ნეიმარის მექალთანეობა საქვეწმითადა ცნობილი და მისმა ოფიციალურმა თუ ნაკლებად ოფიციალურმა გულისსწორებმა ყოველთვის იცოდნენ, რომ ეს ბიჭი ერთ ქალთან, უბრალოდ, ვერ ძლებდა და არც ისაა გასაკვირი, რომ შალანა სანტანასაირ დიდებულ ქალზე უარს იტყობდა.

თავად შალანა პოპულარობით წლებია ბრაზილიელ საუკეთესო და სექსუალურ მოდელთა ოცეულს არასოდეს გაცდენია და ერთ-ერთი მათთაგანია, რომელზედაც მთელი ლათინური ამერიკა ბოდავს და გმინავს. ამის მიზეზს ამ შესანიშნავი ქალბატონის ფოტოთივც მიხვდებით.

როსტომ რაჭველიშვილი

ჩვენი დიდი წინაპრები

აქვითივე თაყაიშვილი და შიო ჩიტაძე

მართალი გიმნაზიისთვის დიდი პრობლემა იყო რუსული ენის სწავლება, განსაკუთრებით სიმწიფის ატესტატზე გამოცდის ჩაბარება. გამგე-კომიტეტი და თავად გიმნაზიის ინსპექტორი ექვთიმე თაყაიშვილი სახელმწიფო გიმნაზიებიდან ინვესტირებდნენ რუსულის მასწავლებლებს, მაგრამ უსულგულო პედაგოგები საქმეს ფორმალურად ეკიდებოდნენ.

1904 წ. ექვთიმე თაყაიშვილის რეკომენდაციით და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მოწვევით კიევიდან თბილისში ჩამოვიდა უკვე სახელმწიფოებრივი პედაგოგი შიო ჩიტაძე სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში რუსული ენის მასწავლებლად.


აკადემიკოსი ევგენი ტარლუ: „მე მანცვიფრებდა მისი მრავალმხრივი განვითარება, მომწიფებული აზროვნება და მაღალი ინტელექტუალური დონე, ის ძალიან უყვარდა მის მოწაფეებს“.

რუსეთის „კეთილისმყოფელ“ ბიუროკრატის შიო ჩიტაძემ დაუპირისპირა „თბილისის სათავადაზნაურო სკოლის“ სასურველი რეორგანიზაციის პროექტი:

1. სწავლება ქართულ ენაზე;
2. სასწავლო გეგმაში ზოგადსაგანმანათლებლო საგნები;
3. მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია;
4. პედაგოგიური საბჭოს გაფართოებული უფლებები.

პროექტმა გაიმარჯვა. შიო ჩიტაძე გიმნაზიის ინსპექტორად აირჩიეს.

1906 წლის 4 ივლისს შემოპარულმა ტერორისტმა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის სხვენიდან გენერალ მარტინოვს ყუმბარა ესროლა, შავრაზმელები შენობაში შეიჭრნენ. შიო ჩიტაძე კარებში ჩადგა: „ЧТО ВАМ УГОДНО, ГОСПОДА?“ იგი ხიშტებზე ააგეს, ბინა დაურბიეს, მასწავლებლები გალახეს, ნიგნები და სურათები სისხლის გუბებში ჩაყარეს.



აქვითივე თაყაიშვილი

მაშინ შიო ჩიტაძე 33 წლის იყო. ქართველმა ხალხმა იგი მსურველად დაიტყობა. პეტერბურგში მყოფმა ეპისკოპოსებმა კირიონმა და ლეონიდემ პანაშვიდი აღუქსანდრე ნეველის ლავრაში გაუდახადეს.

ტრაგედია ამით არ დასრულებულა, 40 დღის შემდეგ შიოს უკრაინელმა მეუღლემ უსტინა შერბანაშვილი თავი მოიკლა, ობლები — ვასო და სიკო ჩიტაძეები მამიდან — ნინო ჩიტაძე-ფურცელაძისამ გაზარდა, ექვთიმე თაყაიშვილი მათ ყურადღებას არ აკლებდა. წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ბავშვებს სასკოლო ასაკამდე 50-50 მანეთი დაუნიშნა, შემდეგ კი განათლება ქართულ გიმნაზიაში მიაღებინა.

1919 წ. ექვთიმე თაყაიშვილის რეკომენდაციით ვასილ შიოს ძე ჩიტაძე საფრანგეთში გაიგზავნა სასწავლებლად. მან დაამთავრა ქ. გრენობლის უნივერსიტეტის მეტალურგიული და ელექტ-



შიო ჩიტაძე

როქიმური ფაკულტეტები. 1931 წელს ვასო ჩიტაძე საქართველოში დაბრუნდა და ზესტაფონის მეტალურგიული ქარხნის სადნობი საამქროს უფროსად დაინიშნა. მან შექმნა ფეროშენადნობის რეცეპტი ადგილობრივი მასალების გამოყენებით; თანამშრომლობდა „სიმენს-ჰალსკეს“ ფირმასთან ელექტროლუმების დამონტაჟების და რაციონალური მუშაობის სფეროში. აღიარებული იქნა საქართველოში თანამედროვე მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთ ფუძემდებლად („ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 11). 36 წლის ვასილ ჩიტაძე 1937 წელს დახვრიტეს, როგორც ხალხის მტერი (რეაბილიტირებულ იქნა 1956 წელს).

„საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად“ აღიარებული ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება სამშობლოს წინაშე ყველა ქართველისთვის ცნობილია, მაგრამ ბევრმა როდი იცის, თუ რა მძიმე იყო ამ დიდი მოქალაქის პირადი ცხოვრება, ერთადერთი შვილი ბავშვობაში დაეღუპა. ემიგრაციაში ცხოვრებამ გატყდა მისი მშვენიერი მეუღლე ნინა პოლტარაცკაია, ობლად დარჩენილი მეცნიერი საქართველოში დაბრუნდა, საბჭოთა სამშობლომ ცივად მიიღო. სრული მდუმარებითა და შეშინებული ფუსფუსით გააცილა უკვდავებისკენ.

„სინარულს სიცოცხლე ზოგს მისხლით უზოგავს, ზოგს აძლევს ბითუმად, ნისიად, ზოგს ვალსაც შეარჩენს, ზოგს ძარცვავს უზომოდ, იცის კი ვინ რისი ღირსია?“

დალი ჩიტაძე შიო ჩიტაძის შვილიშვილი (ვასილის ქალიშვილი)

ჩინეთი მზის ბატარეების ეპროკალ მწარმოებლებს აკოტრებს

ბერმანულმა მზის ბატარეების მწარმოებელმა კომპანიამ Solarworld-მა გაკოტრებულად გამოაცხადა თავი. კომპანია 2014 წლიდან მოგებაზე არ გასულა, 2016 წელს კი ზარალმა 92 მლნ. ევრო შეადგინა.

„ეს არის ძალიან მძიმე დღე Solarworld-თვის და გერმანიის მზის ბატარეების მწარმოებელი კომპანიებისთვის“ — განაცხადა კომპანიის დირექტორმა ფრანკ ასბეკმა.

ბოლო წლების განმავლობაში ამ დარგში მომუშავე არაერთი ევროპული კომპანია გაკოტრდა, ბაზრის კიდევ ერთმა მოთამაშემ, ასევე გერმანულმა SMA Solar-მა განაცხადა მოგების 90%-ით შემცირების შესახებ. რთულ მდგომარეობაში არიან ასევე მზის ბატარეების ამერიკელი მწარმოებლები — კერძოდ, რამდენიმე კვირის წინათ გაკოტრდა კომპანია Suniva.

ამავე დროს მზის ბატარეების წარმოება და გამოყენება მსოფლიოში იზრდება. ასოციაცია SolarPower Europe-ის მონაცემებით, 2016 წელს მზის მიერ გამოიშვებული ელექტროენერჯის რაოდენობა გაიზარდა 50%-ით და ამჟამად შეადგენს 305 გვტ-ს (2010 წელს — 50). ევროპაში ეს მაჩვენებელი შეადგენს 104 გვტ-ს. ამ რაოდენობის 29% მოდის ბრიტანეთზე, 21%-გერმანიაზე, 8,3% — საფრანგეთზე.

თუმცა ზრდის ტემპი შენედა, რადგანაც მზის ენერჯის ბაზარი გაჯერებულია შეთავაზებით. კვლევითი კომპანიის IHS Markit-ის ინფორმაციით, 2017 წელს მზის ბატარეების რაოდენობა გაიზარდება მხოლოდ 1,3%-ით, მაშინ როდესაც 2016 წელს ზრდამ შეადგინა 35%.

ამაზე სხვა ფაქტორებთან ერთად მოქმედებს სახელმწიფო სუბსიდიების შემცირება — მაგალითად, ბრიტანეთში სუბსიდიები შემცირდა 65%-ით და პარალელურად, ახალმა შეკვეთებმა იკლო 81%-ით.

თუმცა, ევროპულ და ამერიკელ მწარმოებლებს ყველაზე ძლიერი დარტყმა ჩინეთმა მიაყენა.

ევროპელი მწარმოებლების ინტერესების დამცველი ლობისტური ორგანიზაციის EU ProSun-ის ხელმძღვანელმა მილან ნიჩკემ განაცხადა, რომ ჩინური კომპანიები დემპინგურ პოლიტიკას ახორციელებენ.



2013 წელს ევროკავშირმა შემოიღო ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადი ჩინური კომპანიებისთვის, თუმცა ამის მიუხედავად, ჩინელებთან კონკურენცია მაინც გაართულებულია.

„ჩინელები გვერდს უვლიან ანტიდემპინგურ ზომებს — კერძოდ, ხსნიან ქარხნებს აზიის სხვა ქვეყნებში“, — განაცხადა Solarworld-ის დირექტორმა ფრანკ ასბეკმა.

ჩინური კომპანიების კონკურენტუნარიანობას ზრდის ასევე ქვეყნის მთავრობის მხრიდან მათი სუბსიდიების პოლიტიკა — ამ გზით მთავრობა ცდილობს გაზარდოს ჩინეთში განახლებადი ენერჯის წილი მთლიან ენერგობალანსში.

ამჟამად ჩინელი მწარმოებლები ხსნიან ქარხნებს ვიეტნამში, ტაილანდში, ინდონეზიაში და სხვა ქვეყნებში.

ადგილობრივი ბაზრის გაჯერება და თანდათანობით ზრდის ტემპების შემცირება ჩინელ მწარმოებლებს ევროპის დაპყრობისკენ უბიძგებს.

ამავე დროს, მზის ენერჯისადმი ინტერესი მსოფლიოში იზრდება — მაგალითად, ამ დარგში ინვესტირებას გეგმავს საუდის არაბეთი.

ექსპერტების აზრით, მზის ენერჯის განვითარებას ასევე კარგი პერსპექტივები აქვს აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთში და ლათინური ამერიკის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში.

KOMMERSANT.RU

გარდაიცვალა სტალინის შვილიშვილი

მოსკოვში სტალინის შვილიშვილი, რეჟისორი ალექსანდრე ბურდოშკინი გარდაიცვალა. რუსეთის არმიის ცენტრალური აკადემიური თეატრის რეჟისორი გულზე პრობლემებით ჰოსპიტალში მკურნალობდა. 75 წლის ბურდოვსკი სტალინის ვაჟის, ვასილი სტალინის უფროსი შვილი იყო.




დააკავეს ნარკორეალიზატორები

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქე: 1980 წელს დაბადებული დმიტრი უ. და 1974 წელს დაბადებული ვიტალი ლ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის და უკანონო გასაღების მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ინტერნეტის საშუალებით სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას ახდენდნენ. ისინი შეკვეთებს ინტერნეტსაიტის მეშვეობით იღებდნენ და ნარკოტიკებს თბილისის სხვადასხვა უბანში კონკრეტულ მისამართებზე ტოვებდნენ.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული 188 შეკვრად დაფასოებული 333,15 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება — ე.წ. „ბიო“, 2 შეკვრად დაფასოებული ამფეტამინი, ნარკოტიკული საშუალება „მდმა“-ს შემცველი 177 აბი და 2 ნატეხი ამოიღეს. პოლიციამ ბრალდებულების დროებითი საცხოვრებელი ბინისა და ავტომანქანის ჩხრეკისას, 1 კილო და 540,25 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება — ე.წ. „ბიო“, 887,74 გრამი ამფეტამინის შემცველი ფხვნილი, ნარკოტიკული საშუალება „მდმა“-ს შემცველი 91 აბი და 29 ნატეხი ამოიღო.



გამოძიების ფარგლებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, სხვადასხვა მისამართიდან ამოღებულია ბირალდებულების მთელი სარეალიზაციოდ გამზადებული 22 შეკვრა ე.წ. „ბიო“. ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

„ქართული სული“ გულგარეთში

სოფლის ერთ-ერთ ცენტრალურ პარკში, ბულგარეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მიერ, საქართველოსა და ბულგარეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის იუბილის აღსანიშნავად გაიხსნა ფოტოგამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია საქართველოს ღირსშესანიშნაობები და კულტურული ძეგლები.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა ბულგარეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ზურაბ ბერიძემ. ბულგარეთის მხრიდან სიტყვით გამოვიდა ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენ-

დი ინტერესი და მონონება გამოიწვია. ქ. სოფიის მკვიდრთა და სტუმრებს აღნიშნული გამოფენის ნახვის და საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაცნობის შესაძლებლობა ერთი კვირის განმავლობაში ექნებათ. დიდი ინტერესის გამო, საელჩოს მიერ საქართველოს შე-




ტის დირექტორი განჩო განევი. გამოფენის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ბულგარეთის პარლამენტის, მთავრობისა და ქ. სოფიის მერიის წარმომადგენლები, დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ჟურნალისტები. გამოფენამ დამსწრეთა დი-

სახებ ფოტოგამოფენის გამართვა ივნისის თვეში იგეგმება საკურორტო ქალაქ სოზოპოლში. 25 წლისთავის ეგიდით, ივნისში, ბულგარეთში, აგრეთვე გამართება ქართული ეროვნული ბაღის „სუხიშვილები“ ტურნე, ხოლო ახლო მომავალში, საელჩოს ორგანიზებით, ბულგარულ ენაზე გამოიცემა ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“.

ცილარის ტერიტორია

«ო, ეს ბაკვირვებით აზიდული წარბები!»

თავგანისმცემელთა გულთა გასაგმირად, ზოგიერთი ლამაზმანის წარბის ერთი აწვევც კმარა. ეს, ცხადია, იმ პირობით, თუკი წარბი უნაკლავია. თუმცა უნდა ითქვას, რომ წარბების ფორმასა და სიხშირეზე საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც, ჩვეულებრივ „მოდას“ ვეძახით, დროთა განმავლობაში იცვლება. მაგალითად, გასულ საუკუნეში სილამაზის ეტალონად, მასადაამე, მოდურად, ძაფივით წვრილი წარბები ითვლებოდა, ამჟამად კი მიღებულია, რომ წარბები წშირი უნდა იყოს. არადა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახის სხვადასხვა ტიპს განსხვავებული ფორმის წარბები უხდება. კერძოდ, ფართოსახიან ქალბატონებს ვიზაჟისტები საზატეხილ წარბებს ურჩევენ, თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ზომიერების დაცვა; ვიწრონიკაპიან სამკუთხა სახეს მომრგვალებული ფორმის წარბები შეენის, რომლებიც სახის გეომეტრიას არბილებენ; მოგვრძო სახეს სწორი წარბები „უყვარს“, კვადრატულ და ოვალურ სახეებს კი უფრო პარამონიულს რკალისებრი წარბები ხდიან. სხვათა შორის, წარბის დანყების წერ-



ტილის დადგენაში ნებისმიერი თხელი საგანი (ფანქარი ან საქსოვი ჩხირი) გამოდგება. ეს საგანი ისე უნდა მიიღოთ, რომ მან ცხვირის ფრთის კიდესა და თვალის შიდა კუთხეზე გაიაროს. წარბი იქ უნდა იწყებოდეს, სადაც მას ჩხირი შეეხება. შემდეგ ჩხირი ისე უნდა მიიღოთ, რომ მან ცხვირის ნესტოს გარე მხარესა და თვალის გარე კუთხეზე გაიაროს. იდეალური წარბის დასასრული ჩხირის მასთან შეხების წერტილი იქნება. წარბის ყველაზე ზედა (გადატეხის) წერტილის მოძებნა შეიძლება

ჩხირის ისე მიღებით, რომ მან ნესტოს გარე კიდესა და თვალის გუგის შუაზე გაიაროს. ფიზიოგნომიკის სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ წარბების ბუნებრივ ფორმას მათი პატრონის ხასიათზე ბევრი რამის „თხრობა“ შეუძლია. მაგალითად: — რკალისებრი წარბები, როგორც წესი, მგრძნობიარე რომანტიკოსებს აქვთ ხოლმე, რომლებიც მსუბუქი, თუმცა კი მტკიცე ხასიათისანი არიან. სხვათა შორის, წარბების რკალისებრი ფორმა იდეალურად ითვლება; — სწორი წარბები ვაჟკაცური და პირდაპირი ხასიათის მქონე ადამიანებს აქვთ, რომლებიც კარგი ხელმძღვანელები და საიმედო პარტნიორები არიან როგორც ბიზნესში, ასევე ოჯახში. რაც უფრო დაბლა განთავსებული ასეთი წარბები, მით უფრო მკვეთრადაა გამოხატული ეს ნიშნები; — ფართო წარბები იმას ნიშნავს, რომ თქვენს წინაშეა მეოცნებე და ინტელექტუალი კაცი; — წვრილი წარბები დიდად პრინციპული პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი; — ჯაგრისებრი წარბების პატრონები კი, როგორც წესი, ჯიუტი სასტიკი და ანჩხლი ადამიანები არიან.

მოამზადა ნინო ალექსანდრიამ

ცუდი აზვების საფაროში

თურქეთში ქართველი ემიგრანტი ქალი სასტიკად ანაშენს და მოკლავს



და პოლიციას გამოუძახეს. კარის გატეხის შემდეგ კი ოთახში ახალგაზრდა ქალის ცხედარი სკამზე მიბმული, ყელგამოჭრილი იპოვეს. ცხედარი ექსპერტიზაზე გადაყვანილი. დანაშაულში ეჭვმიტანილი ტრამპონში დააკავეს. საგამოძიებო ქმედებები გრძელდება. გარდაცვლილი 10 წელი ემიგრაციაში იმყოფებოდა.

თურქული სააგენტოების ცნობით, თურქეთის ქალაქ ორდუში 34 წლის ქართველი ემიგრანტი ქალი მოკლეს. მედიის ინფორმაციით, გარდაცვლილი სასტიკად არის ანაშენი. თურქული სააგენტოების ინფორმაციით დაკავებულია ეჭვმიტანილი, რომლის სახლშიც აღმოაჩინეს ცხედარი. მედიის ცნობით, მეზობლებმა მძაფრი სუნი იგრძნეს

წყალდიდობა კონგ-კონგში

სანბრძლივი სეზონური წვიმის შედეგად ქალაქის დასახლებული რაიონები დაიტბორა. რიგ მონაკვეთებზე წყლის საფარის სიმაღლემ ნახევარ მეტრს მიაღწია. წყალდიდობამ საავტომობილო მოძრაობის პარალიზება გამოიწვია. დატბორილია ასობით საცხოვრებელი სახლი. სინოპტიკოსთა ვარაუდით, უამინდობა რეგიონში თვის ბოლომდე გასტანს.



უამინდობა შეერთებულ შტატებში



ჩრდილოეთ კაროლინას ტორნადომ გადაუარა. ძლიერმა ქარიშხალმა სემპსონის დასახლებულ რაიონში ათობით საცხოვრებელი სახლი დააზიანა. მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგადამცემი საზუბო და ავტომობილები. არიან დაშავებულებიც. ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ არ გავრცელებულა.

სანძარი ქალიფორნიაში

ქალიფორნიაში სანძარს ებრძვიან. ცეცხლი 2 დღის წინათ ლოს ანჯელესის ტყის მასივს გაუჩნდა და ასობით ჰექტარი ფართობი გაანადგურა. სანძარის ლოკალიზებას ხელს ქარი და გვალვისგან გამომშრალი ნიადაგი უწყობს. მეხანძრეები ცეცხლის ძირითადი კერების ჩაქრობას ავიაციის დახმარებით ცდილობენ.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 293-13-34
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემელი:
 შპს „თანამდებობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება გამომცემლობა „**კოლორ პრესი**“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაეკ)070.4(479.22) ს-323
 ISSN 2233-3851
 9 772 233 385 001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია, აუსილებლად წაიკითხე!



რედაქციის მისამართი:
 აშშ ფოსტა - 24144; კვირა - 2.7155;
 ბრიტანული პოსტის სტამბოლი - 3.1322;
 100 რუბლი - 4.2758; თურქული ლირა - 0.6770;
 ავსტრალიული დოლარი - 1.4250;
 1000 სომხური დრამი - 4.9988.

აივნი 25 მაისისთვის

აქტიურობის საპრომოციო:			
ბანი -	ლაპი +4	ფაქ +27	
პოლიტიკური -	ლაპი +1	ფაქ +22	
დასავლეთი საპრომოციო:			
ბანი -	ლაპი +6	ფაქ +25	
პოლიტიკური -	ლაპი +3	ფაქ +22	
თავიდან:	ლაპი +8	ფაქ +24	

დაავიკავით, მოგვწერეთ:
 ტელ: 293-13-34,
 599-79-76-79
 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
 და sakresp@top.ge